პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 25 ნოემბერი, 1947 წ. № 234 (8018). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დიდი მოვალეობა, დიდი ამოცანები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის საარჩევნო ოლქი № 85 (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
მისალმება ამხანაგ სტალინს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმის მონაწილეთაგან (მე-2 გვერდი).
გენერალური ასამბლეის კომიტეტებში (მე-2 და მე-4 გვერდი).
ოთხ წელიწადში შევასრულოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი (მე-3 გვერდი).
მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის (მე-3 გვერდი).
ვ. ესაიაშვილი — სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

დიდი მოვალეობა, დიდი ამოცანები

სსრ კავშირის მრეწველობის მუშაკებისადმი ლენინგრადელთა მიმართვას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ უდიდესი პატრიოტული აღმავლობით შეხვდნენ საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა კოლექტივები.

— ერთსულოვნად დავუჭიროთ მხარი ლენინგრადელთა ინიციატივას, დავრაზმოთ მთელი ძალები ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად! — ამ ლოზუნგით ტარდება მუშათა ხალხმრავალი კრებები ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და ნავთსარეწებზე, ყველა იმ საწარმოში, სადაც იჭედება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ძლიერება, სადაც გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან მეტი ქვანახშირისა და მარგანეცის, მეტი დაზგისა და მანქანის, მეტი ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის დასამზადებლად.

თვითეული სტახანოველის, ინჟინერ-ტექნიკოსის, სამეურნეო მუშაკის გამოსვლა გამსჭვალულია სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის შეგნებით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით. მშრომლები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით, მიისწრაფვიან ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ, კისრულობენ მეოთხე სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ ფრიად პასუხსაგები ვალდებულების გასანაღდებლად.

ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება იკისრეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დაზგათმშენებლებმა და მანქანათმშენებლებმა, ფეიქრებმა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებმა, მსუბუქი და საგემოვნო მრეწველობის მუშაკებმა. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად ფართო მოძრაობა გაჩაღდა ქუთაისისა და ჭიათურის, ბათუმისა და სოხუმის, ფოთისა და ხაშურის, სამტრედიისა და ზესტაფონის საწარმოებში, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებში.

მუშათა ეს შრომითი ენთუზიაზმი საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს, სამრეწველო სამინისტროებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია თვითეულ საწარმოში ზუსტად დავამუშაოთ პრაქტიკული ღონისძიებანი, გამოვავლინოთ შინარესურსები და შესაძლებლობანი ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად. სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლა, თვითეულ ბრიგადაში, ცვლასა და საამქროში სტახანოვური განრიგის დანერგვა, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, დაზგა-დანადგარების სრული დატვირთვით გამოყენება, სტახანოვური სკოლებისა და მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებელი წრეების ქსელის უფრო ფართოდ გაშლა, საწარმოთა შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, — აი რა სწყვეტს წარმატების საკითხს, აი საითკენ უნდა იქნას ახლა მიმართული წარმოების ხელმძღვანელთა მთელი გულისყური.

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა აგრეთვე ყოველდღიური ზრუნვა მუშათა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის და ამ გზით საწარმოებში მუდმივი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. წარმოების ზრდა ჩვენში ბევრად უსწრებს წინ საბინაო მშენებლობას. ამიტომ აუცილებელია დავაჩქაროთ ბინათმშენებლობა, უკეთ უზრუნველვყოთ მუშათა კადრები კეთილმოწყობილი ბინებით.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ასობით საწარმოს კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა. მათ ვადამდე ორი თვით და უფრო ადრე გაანაღდეს წლიური გეგმები და ახლა ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას. მრავალი საწარმო უახლოვდება წლიური პროგრამის შესრულებას. მაგრამ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეშახტეები წელს გაცილებით მეტ ქვანახშირს აწვდიან ჩვენს მრეწველობასა და ტრანსპორტს, მათ ვერც ერთ კვარტალში ვერ შესძლეს გეგმების მთლიანად შესრულება. როგორც ტყიბულის, ისე ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში არიან წარჩინებული სტახანოველები, ქვანახშირის გამოღების ოსტატები, რომლებმაც კარგა ხანია გაანაღდეს წლიური გეგმები, მაგრამ ამ სტახანოველთა რიცხვი მცირეა და გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენენ საერთო გეგმების შესრულებაზე. ამის უმთავრესი მიზეზია შრომის არასწორი ორგანიზაცია და მუშათა დენადობა, მექანიზმების არასრულად გამოყენება.

ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტებისა და შახტების ხელმძღვანელებმა იმგვარად უნდა გარდაჰქმნან მუშაობა, რომ მეშახტეებმა აუცილებლად შესძლონ მიმდინარე წლის დავალებათა განაღდება, აქედანვე მოამზადონ ნიადაგი მომავალ წელს უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. ამ მიზნით აუცილებელია მშენებლობის პროცესში არსებული ახალი შახტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარება, მოქმედ შახტებში შრომის უკეთ ორგანიზაცია, მექანიზმების მთელი დატვირთვით გამოყენება, საბინაო მშენებლობის გაძლიერება.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. თვითეული დიდი პოლიტიკური მოვლენა ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ახალი საწარმოო აღმავლობით აღინიშნება. ასეა ამჯერადაც. საწარმოთა კოლექტივები, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რომ ღირსეულად აღნიშნონ არჩევნების დღე. სათავეში ჩავუდგეთ მშრომელთა ამ მზარდ აქტივობას, კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ რიგები სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, მოვამზადოთ ნიადაგი ახალი ხუთწლედის მესამე წელს უფრო მეტი წარმატების მოსაპოვებლად, — ასეთია ახლა საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ამოცანა.

— დავრაზმოთ მთელი ძალები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში! — მოგვიწოდებენ ლენინგრადელები.

სასახელოდ შევასრულოთ ეს მოწოდება, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის!

ვ. მ. მოლოტოვი ლონდონს გაემგზავრა

23 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი თვითმფრინავით გაემგზავრა მოსკოვიდან ლონდონს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაში მონაწილეობის მისაღებად, და იმავე დღეს ჩავიდა ლონდონს. (საკდესი).

სტალინის რაიონის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

თბილისის სტალინის რაიონის საწარმოებმა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს და საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 20 ნოემბრისათვის 100,6 პროცენტით შეასრულეს.

სპილენძსაგლინავმა ქარხანამ წლიური გეგმა შეასრულა 126 პროცენტით, კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ—109,7 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანამ—107,6 პროცენტით, მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ—103,5 პროცენტით, თამბაქოს მეორე ფაბრიკამ —105,7 პროცენტით, კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელმა ქარხანამ—100,5 პროცენტით, ლუდის პირველმა ქარხანამ — 119 პროცენტით, ლუდის მეორე ქარხანამ—124,6 პროცენტით. წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე რაიონის მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

მზრალად ხვნა

20 ნოემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა მზრალად მოხნეს 118.994 ჰექტარი, შარშან ამ დროისათვის მოხნულზე 33.317 ჰექტარით მეტი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 79,3 პროცენტით.

თბილისის რაიონმა დავალება 116,8 პროცენტით შეასრულა, ახალქალაქისამ — 98,4, ხაშურის — 97, წალკის — 95,5 ასპინძის—93,1, ბოგდანოვკის —90,8, ახალციხის — 90,2, თეთრი წყაროს — 89,6, ბორჯომის — 84,9, წითელწყაროს — 83,4, ახმეტის—81,8, გარდაბნის — 80,8, ყვარლის — 80,7, გურჯაანის—77,9, ქარელის — 77,1, მარნეულის—76, დუშეთის — 75,3, მცხეთის—73,4 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მზრალად ხვნის გეგმა 79,3 პროცენტით არის შესრულებული.

ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის საარჩევნო ოლქი № 85

ლენინის ორდენოსანი მოტორთმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო საერთო კრებამ მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

22 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში შესდგა ლენინის ორდენოსანი მოტორთმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო საერთო კრება.

ქარხნის უდიდეს საამქროში — საინსტრუმენტო კორპუსში შეიკრიბა რამდენიმე ათასი კაცი. ყველა სადღესასწაულო განწყობილებაზეა. ამ სადღესასწაულო განწყობილებაზეა ამ დღეებში მთელი მრავალათასოვანი კოლექტივი — კადრის მუშით, ოსტატითა და კონსტრუქტორით დაწყებული ახალგაზრდული ბრიგადების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებამდე.

სტალინის რაიონის წამყვანი ქარხანა არჩევნებს თვალსაჩინო საწარმოო გამარჯვებებით ხვდება: 1947 წლის გეგმა მან ვადამდე, 7 ნოემბერს შეასრულა. ასობით სტახანოველი უკვე ახლა პროდუქციას ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ანგარიშში იძლევა. ქარხანა დედაქალაქში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ლენინის ქალაქის მშრომელთა პატრიოტულ მოწოდებას.

— შევასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში! ეს სიტყვები გახდა საბრძოლო დევიზი მთელი კოლექტივისა, რომელიც ჩაება საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიად სამუშაოთა გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

...საინსტრუმენტო კორპუსი სადღესასწაულოდ არის მორთული. ჩამწკრივებულ დაზგებზე გაკრულია ტრანსპარანტები მოწოდებებით — ადგილობრივ საბჭოებში ავირჩიოთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები. ათობით ალისფერი და ცისფერი ტილოებით მორთულია შუა საამქროში მოწყობილი ტრიბუნა. ტრიბუნის თავზე აღმართულია დიდი ლენინის სკულპტურა და ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის — ამხანაგ სტალინის დიდი პორტრეტი. ცენტრში დადგმულია მაკეტი ლენინის ორდენის გამოსახულებით, — ეს არის საპატიო ჯილდო, რომლის ღირსიც ქარხნის კოლექტივი გახდა დიდი სამამულო ომის წლებში მამაცური შრომისათვის.

როცა საამქრო მთლიანად გაიჭედა ხალხით, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხანაგმა ს. ე. უსტინოვმა წინასაარჩევნო საერთო კრება გახსნილად გამოაცხადა.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ წინადადებას — საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით. უზარმაზარ საამქროში გაისმა მქუხარე ტაში და მისასალმებელი შეძახილები ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საერთო კრება გადადის ძირითადი საკითხის — მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების განხილვაზე.

პირველი გამოდის სამსხმელო საამქროს უფროსი ინჟინერ-მეტალურგი ამხანაგი ს. მ. ტიტკოვი. მისი მკაფიო სიტყვა, რასაც მრავალგზის ტაშით აწყვეტინებდნენ, კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

ინჟინერ-მეტალურგ ს. მ. ტიტკოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, ლენინის ორდენოსანი მოტორთმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები შევიკრიბეთ იმისათვის, რომ დავასახელოთ მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

წინადადებას ვიძლევი მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი! **(მქუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“ „დიდ სტალინს — დიდება!“).**

დარწმუნებული ვარ, რომ ამ წინადადებით მე გამოვხატავ ყოველი თქვენგანის აზრებს, გრძნობებსა და სურვილს. **(ხანგრძლივი ტაში).**

მთელ თავის მიღწევებსა და გამარჯვებებს საბჭოთა ხალხი ამხანაგ სტალინს უმადლის. ბოლშევიკური პარტიის, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობს, ბრძნული ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადებში აღმოიფხვრა რუსეთის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა. ჩვენი სამშობლო მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფო გახდა. ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, აგებულია სოციალისტური საზოგადოება, მოხდენილია უდიდესი კულტურული რევოლუცია. საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუცია.

სოციალიზმის საფუძველზე ფართოდ განვითარდნენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები. მილიონობით უბრალო ადამიანი გახდა ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირი და შემოქმედი. მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებისა და პირადად ამხანაგ სტალინის მზრუნველობით, იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი საყვარელი დედაქალაქი მოსკოვი — ახალი საბჭოთა ეპოქის მედროშე.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის წლებში ამხანაგმა სტალინმა აღაფრთოვანა და დარაზმა საბჭოთა ხალხი უმაგალითო გამარჯვებისათვის, იხსნა ჩვენი ძვირფასი სოციალისტური სამშობლო.

ამხანაგებო!

ომისშემდგომ პერიოდში სტალინური ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ცხოვრებისა და ბრძოლის პროგრამა გახდა. დიდია ჩვენი წარმატებანი მის შესრულებაში. საბჭოთა მრეწველობამ ომამდელ დონეს მიაღწია. ამით გამოვლინდა საბჭოთა წყობილების უდიდესი უპირატესობანი, ჩვენი გეგმიანი მეურნეობის ძლიერება, თავისუფალი სოციალისტური შრომის დიადი შემოქმედი ძალა.

ახლა ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა — ვადამდე შევასრულოთ ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წინ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების უფრო მეტად განმტკიცებისათვის!

მოგიწოდებთ ვთხოვოთ ამხანაგ სტალინს კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადსა და მასწავლებელს — ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს! **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. შეძახილები: „საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს — დიდება!“).**

მკაფიო სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე უპარტიო მუშამ ი. ვ. სილაევმა, ახალგაზრდა მუშამ კ. კ. ნასონოვამ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგმა ქარხანაში ვ. გ. ჩურილინმა, ამხანაგმა ვ. ი. კლიმოვმა და ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. ი. სმირნოვმა.

ყველა მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხანაგ ტიტკოვის წინადადებას მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ.

დადგენილება

ლენინის ორდენოსანი მოტორთმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო საერთო კრებისა

რსფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების 77-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად ლენინის ორდენოსანი მოტორთმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ განიხილა საკითხი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ და —

ადგენს:

1. მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სტალინის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქში ლენინის ორდენოსანი მოტორთმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან დასახელებულ იქნას საბჭოთა ხალხის ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

2. ეთხოვოს ამხანაგ ი. ბ. სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე სტალინის რაიონის № 85 საარჩევნო ოლქში ლენინის ორდენოსანი მოტორთმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან.

* * *

საამქროს კორპუსში ახალი ძალით იფეთქა ოვაციამ, როდესაც საერთო კრებამ მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. ყოველი მხრიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საყოველთაო სახალხო კანდიდატს ამხანაგ სტალინს!“, „სცოცხლობდეს მრავალ წელს მშობლიური იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი!“, „ლენინ-სტალინის დიად პარტიას — დიდება!“, „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!“ (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა მრავალი წინადადება, რომ გაუქმებულ იქნას ფულის გაცემა ორდენებსა და მედლებზე და ზოგიერთი სხვა შეღავათი, რაც დაჯილდოებულთ ენიჭებათ, და რომ განთავისუფლებული სახსრები მოხმარდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, და დაადგინა:

1. გაუქმდეს 1948 წლის 1 იანვრიდან:

ა) ფულის გაცემა სსრ კავშირის ორდენებზე და მედლებზე;

ბ) რკინიგზებითა და წყლის გზებით სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულთა უფასო მგზავრობის უფლება;

გ) სსრ კავშირის ყველა ქალაქში სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა ტრამვაით უფასო მგზავრობის უფლება;

დ) ადგილობრივი საბჭოების სახლებში სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდის შეღავათიანი წესი.

2. დატოვებულ იქნას წინათ დადგენილი წესი სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულთა განთავისუფლებისა საშემოსავლო გადასახადისაგან მათი ხელფასის მიხედვით. სხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავალზე ისინი განთავისუფლდებიან აღნიშნული გადასახადისაგან, თუ მათი შემოსავალი არ აღემატება 6 ათას მანეთს წელიწადში. თუ შემოსავალი აღემატება ამ თანხას, დასაბეგრი შემოსავლიდან გამოირიცხება 6 ათასი მანეთი.

3. დატოვებულ იქნას დიდების სამივე ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთათვის დიდების ორდენის სტატუტის მე-7 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებით დაწესებული შეღავათები და უპირატესობანი.

4. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მისცეს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთ 1948 წლის 1 იანვრამდე კუთვნილი ფულადი თანხები დადგენილი წესით.

5. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ ბრძანებულებას შეუფარდოს სსრ კავშირის მთავრობის მიერ წინათ გამოცემული დადგენილებანი და განკარგულებანი.

6. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებს ამ ბრძანებულების შესაბამისად საჭირო ცვლილებები შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1947 წლის 10 სექტემბერი.

არტილერიის დღის დღესასწაული მოსკოვში

საზეიმო სხდომა წითელი არმიის ცენტრალურ თეატრში

22 ნოემბერს წითელი არმიის ცენტრალურ თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისადმი—არტილერიის დღისადმი.

თეატრის დარბაზი სავსე იყო დიდი სამამულო ომის ვეტერანებით. პარტერსა და ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, ცნობილი მეცნიერი-არტილერისტები, საარტილერიო საჭურვლის დამამზადებელი მრეწველობის კონსტრუქტორები, ინჟინრები და მუშები, დედაქალაქის საწარმოთა სტახანოველები. სტუმრებს შორის არიან ცნობილი კონსტრუქტორები, საარტილერიო საჭურვლის უახლესი ნიმუშების შემქმნელნი.

საზეიმო სხდომა გახსნა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. პ. ფირიუბინმა.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობას საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება არტილერიის დღის შესახებ გააკეთა არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკმა ნ. ს. ფომინმა.

მომხსენებელი შეჩერდა საბჭოთა არტილერიის ისტორიაზე, რომლის დასაწყისი ჯერ კიდევ XIV საუკუნეს ეკუთვნის, და ილაპარაკა რუსული საარტილერიო აზრის განვითარებაზე. მან მოიყვანა მრავალი ისტორიული ფაქტი, რომელიც მოწმობს რუსული არტილერიის პრიორიტეტს უცხოურის წინაშე.

მომხსენებელი შემდეგ ლაპარაკობს საბჭოთა არტილერიის როლზე დიდ სამამულო ომში და ეხება საბჭოთა არმიის უმნიშვნელოვანეს შეტევით ოპერაციებს, რომლებშიც არტილერიას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა არტილერისტთა საბრძოლო დამსახურებას. არტილერიის ასიათასობით ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი და გენერალი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა არტილერისტებს თავიანთ რიგებში ჰყავთ 1.600 საბჭოთა კავშირის გმირი.

დასასრულ მომხსენებელი გამარჯვებას უსურვებს მოწინავე საბჭოთა არტილერიას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, მძლავრ, ძლევამოსილ სოციალისტურ სახელმწიფოს, ბოლშევიკურ პარტიას, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. დამსწრენი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას მართავენ საბჭოთა არტილერიის შემოქმედის დიდი სტალინის პატივსაცემად.

მოსკოვის საბჭოს, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და დედაქალაქის მშრომელთა სახელით მისალმებით გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ნ. დანილოვი. მოსკოვის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით მამაც არტილერისტებს მიესალმა საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. დ. პედოსოვი.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება დიდი მხედართმთავრისა და საბჭოთა ხალხის ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმის მონაწილეთაგან

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმის მონაწილენი მხურვალე კომკავშირულ სალამს გითვლიან თქვენ, საბჭოთა ხალხის მშობლიურ მამას, ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს.

ჩვენი პლენუმი მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის ახალი პატრიოტული აღმავლობის დღეებში. აღფრთოვანებულნი თქვენს მიერ, ჩვენო საყვარელო ამხანაგო სტალინ, საბჭოთა ხალხი დაუშრეტელი ენთუზიაზმითა და ენერგიით შრომობს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. ლენინის ქალაქის მშრომელთა თაოსნობით ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. ახალი მიღწევებით ახარებენ ჩვენს ქვეყანას ჩვენი საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

ყველგან მიმდინარეობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის მზადება. ყველგან დეპუტატობის პირველ კანდიდატად მშრომელები გასახელებენ თქვენ, მშობლიურო ამხანაგო სტალინ.

ლენინგრადელთა საბრძოლო პატრიოტულ მოწოდებას მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ მთელი ხალხი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა. პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, გავაჩაღოთ ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა მშრომელთა მჩქეფარე, დაუღალავი ბრძოლა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, ჩვენი ძლევამოსილი წინსვლისათვის სანუკვარი მიზნის — კომუნიზმისაკენ.

პლენუმზე ჩვენ განვიხილეთ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხები.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირული ორგანიზაციები მებრძოლურად ეხმარებოდნენ სასწავლებლების ხელმძღვანელებს, პროფესორებს, მასწავლებლებსა და პარტიულ ორგანიზაციებს—მოამზადონ საბჭოთა სპეციალისტების ახალი კადრები, რომლებსაც უნარი ექნებათ ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ წარმოებას, დანერგონ შრომის მოწინავე მეთოდები, რომლებსაც უნარი ექნებათ წინ წასწიონ ჩვენი მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი აქტიურად მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში. ჩვენმა პლენუმმა დასახა საარჩევნო კამპანიის პერიოდში კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ამხანაგო სტალინ, თქვენ გვასწავლით, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდია, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენს წინსვლას. ჩვენს პლენუმზე გამოვლინდა მრავალი ნაკლოვანება ჩვენს მუშაობაში, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელობის მეთოდებში. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ჩვენი ვალი, ჩვენი მოვალეობაა. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ნამდვილად განვახორციელოთ პლენუმის დადგენილება, რომ ვიმუშაოთ უფრო წარმატებით, მივაღწიოთ უფრო მეტ შედეგებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის წინ საბჭოთა კავშირის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ შემოგფიცეს თქვენ, ჩვენო მამავ და მასწავლებელო, დაუღალავად იშრომონ დიად სამუშაოთა გეგმის განსახორციელებლად, ამრავლონ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რიგები. ამ ფიცის შესრულება თვითეული კომკავშირელის, მთელი ახალგაზრდობის ღირსების საქმეა.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია მებრძოლი კოლექტივი იყოს, რათა თვითეულმა კომკავშირელმა პირადი მაგალითით გაიყოლიოს ახალგაზრდობა, რათა ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებმა მთელი ძალები მოახმარონ ახალი გამარჯვებების მოპოვებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, კულტურაში, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში.

თქვენ გვასწავლით, ამხანაგო სტალინ, არ შევჩერდეთ მიღწეულზე, სადად შევაფასოთ ჩვენი მუშაობის შედეგები. ჩვენ კვლავაც დაუღალავად განვამტკიცებთ და გავაფართოვებთ კომკავშირის ურთიერთობას მთელ ახალგაზრდობასთან, დავრაზმავთ მას ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

გისურვებთ, საყვარელო ამხანაგო სტალინ, მრავალი, მრავალი წლის ჯანმრთელობას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, მამას, მასწავლებელს, მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს

მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და განსვენებულის ოჯახს გამოჩენილი მეცნიერის, ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზის-ძე **ჯანაშიას** გარდაცვალების გამო.

ვავილოვი

* * *

ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დიდი მწუხარებით შეიტყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზის-ძე **ჯანაშიას** გარდაცვალება.

ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას და განსვენებულის ოჯახს.

ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბრაშენკოვი
ვიცე-პრეზიდენტი ლუპინოვიჩი

* * *

ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გულწრფელ თანაგრძნობას გამოსთქვამს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზის-ძე **ჯანაშიას** გარდაცვალების გამო.

ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ლეინში
მდივანი-აკადემიკოსი პეივე

* * *

ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ღრმა მწუხარებით შეიტყო გამოჩენილი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის სიმონ ნიკოლოზის-ძე **ჯანაშიას** უდროოდ გარდაცვალება. საქართველოს სსრ მოძმე მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ვიზიარებთ მწუხარებას მძიმე დანაკლისის გამო და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი
სატპაევი

არტილერიის დღე თბილისში

სტალინური არტილერიის დღე თბილისში აღინიშნა, როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. დილიდანვე არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო კარლ მარქსის სახელობის ხიდთან, სადაც მოწყობილია საბჭოთა არმიის საარტილერიო საჭურვლის გამოფენა. მწვანე ნარგავებიდან გამოიყურებიან მრისხანე ქვემეხები. აქ ნახავთ ყოველი სახის საარტილერიო საჭურველს—დაწყებული 45 მილიმეტრიანი და გათავებული 203 კალიბრიანი ქვემეხებით.

დიდ ხანს ჩერდებიან მნახველნი იქ, სადაც დადგმულია რეაქტიული არტილერია.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე სამთო და საზენიტო არტილერია. თვითეულ ქვემეხთან აწყვია ყუმბარების საბრძოლო კომპლექტი. არტილერიის ოფიცრების ახსნა-განმარტებანი დიდ ინტერესს იწვევს გამოფენაზე მიმსვლელთა შორის.

პირველ დღეს გამოფენა ინახულა თბილისის 20 ათასამდე მცხოვრებმა.

ცოცხლად ჩატარდა დღესასწაული თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებელში. სასწავლებლის მოედანზე მოეწყო საცხენოსნო-სასპორტო შეჯიბრება. კლუბში რამდენიმე სეანსად აჩვენებდნენ კინოსურათებს, შესდგა კონცერტი.

საღამოთი, როდესაც ქალაქი ღამის წყვდიადში გაეხვია, იგრიალა ქვემეხთა საზეიმო სალუტმა. საქართველოს დედაქალაქის ცაში ავარდა ათასობით სხვადასხვაფერი შუშხუნა. (საქდესი).

გენერალური ასამბლეის კომიტეტებში

დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის დასაცავად

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). პოლიტიკურ კომიტეტში დაიწყო განხილვა საკითხისა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის (ვეტო) შესახებ. ამ წესზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქვაკუთხედს წარმოადგენს, იერიში მიაქვთ თითქმის მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე. გენერალური ასამბლეის წარსულ სესიაზე ამ წესის მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს გაეყვანათ რეზოლუცია, რომლის დახმარებითაც მათ იმედი ჰქონდათ ზეგავლენა მოეხდინათ უშიშროების საბჭოში ამ წესის მომხრეებზე. ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნა საკითხი ამ რეზოლუციის საფუძველზე უშიშროების საბჭოსათვის რეკომენდაციის შემუშავების შესახებ ისეთი პროცედურის მისაღებად, რომელიც ფაქტიურად მიმართულია ამ წესის შეზღუდვისაკენ.

არგენტინის დელეგაციამ, რომელიც გენერალურ ასამბლეაში სისტემატურად გამოდის ამ წესის წინააღმდეგ, შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა სპეციალური კონფერენციის მოწვევას „ვეტოს პრივილეგიების შესასწავლად, მხედველობაში ექნება რა მისი გაუქმება". რეზოლუციის ეს პროექტი საფუძვლად დაედო გენერალური ასამბლეის მიერ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის განხილვას.

იერიში ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ

ავსტრალიის დელეგატმა ევატმა თავისი სიტყვა დაიწყო მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ღონისძიებანი „ვეტოს პრივილეგიების" გასაუქმებლად. ევატმა გაიხსენა, რომ ავსტრალიის დელეგაცია, 1945 წელს სან-ფრანცისკოს კონფერენციით დაწყებული, მტკიცედ ცდილობდა მიეღწია წესდების გადასინჯვისა და დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესის ლიკვიდაციისათვის, და განაცხადა, რომ, როგორიც უნდა იყოს ამ საკითხის განხილვის პროცედურა, იგი იდგება თავის პოზიციაზე და ეცდება თავისი მიზნის მიღწევას.

ევატის გამოსვლა აშკარად იყო ნავარაუდევი იმისათვის, რომ შემდგომი იერიშების სიგნალი გამხდარიყო. მაგრამ უკვე შემდეგი ორატორი— ეგვიპტის დელეგატი ჰეიკალ-ფაშა გამოვიდა ამ წესის გაუქმების წინააღმდეგ. ეგვიპტის დელეგატმა აღნიშნა, რომ ვერც ერთი წინადადება, მიმართული ვეტოს გაუქმების, შეზღუდვის ან რაიმე რეგულირებისაკენ, თავისთავად ვერ შესცვლის იმ მდგომარეობას უშიშროების საბჭოში, რომელიც ამჟამად მთელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნაკლს წარმოადგენს. ჰეიკალ-ფაშამ კომიტეტს მოაგონა, რომ წესდების ყოველგვარი შესწორება მოწონებულ უნდა იქნას უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის მიერ. ამ მუდმივ წევრთაგან ერთი — საბჭოთა კავშირი ამის წინააღმდეგ გამოდის და, მაშასადამე, ასეთი შესწორება არ შეიძლება მიღებულ იქნას. ამიტომ, მხოლოდ თვით საბჭოს მუდმივ წევრებს შეუძლიათ გადასწყვიტონ ვეტოს საკითხი. ეგვიპტის დელეგატმა უპასუხა ვეტოს მოწინააღმდეგეთა მიერ მრავალგზის გამოთქმულ განცხადებაზე,—ერთხმივობის წესი უშიშროების საბჭოს მუშაობას აძნელებსო, და მოიყვანა დამაჯერებელი მაგალითი, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ამაში ბრალი მიუძღვით არა იმათ, ვინც ვეტოს დასაცავად იბრძვის, არამედ უშიშროების საბჭოს იმ მუდმივ წევრებს, რომლებიც თავიანთი პოლიტიკით აძნელებენ თანამშრომლობას ამ მნიშვნელოვან ორგანოში.

ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტში, — სთქვა მან,—ერთხმივობის ეს წესი გამოყენებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს პრინციპი სრულიადაც არ არის იმ მდგომარეობის მიზეზი, რომელშიც უშიშროების საბჭო იმყოფება. ეგვიპტის დელეგატმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოში გამოყენებული ვეტოს უდიდესი რაოდენობა დაკავშირებული იყო უცხოეთის ჯარების ყოფნასთან სხვის ტერიტორიებზე, მათ შორის საბერძნეთში, სირიასა და ლიბანში, ინდონეზიაში, აგრეთვე ეგვიპტეში, სადაც ინგლისის ჯარები ეგვიპტის ნების წინააღმდეგ იმყოფებიან.

არამტრულ ტერიტორიებზე მათი მთავრობების თანხმობის მიუცემლად უცხოეთის ჯარების ყოფნის საკითხი,—სთქვა ეგვიპტის დელეგატმა,—ვეტოს საკითხზე გაცილებით მნიშვნელოვანია. სანამ წესდების შეცვლაზე ვიფიქრებდეთ, საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი მისი მიზნების განსახორციელებლად. ამიტომ ეგვიპტის დელეგაცია უდროოდ სთვლის ყოველგვარ ცდას შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, განსაკუთრებით ერთხმივობის წესის მიმართ. უთანხმოებათა მთავარი მიზეზი უშიშროების საბჭოში,— განაცხადა მან,—არის ძალის პოლიტიკა, რომელიც სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობას.

ეგვიპტის დელეგატის სიტყვამ დამსწრეებზე ერთხმივობის პრინციპის მოწინააღმდეგეთათვის ძლიერი და მეტად არახელსაყრელი შთაბეჭდილება მოახდინა. ინგლისის დელეგატმა შოუკროსმა, რომელსაც სურდა შეესუსტებინა ეს შთაბეჭდილება, დაუყოვნებლივ აიღო სიტყვა და ეგვიპტის დელეგატის სიტყვას პროპაგანდისტული გამოსვლა უწოდა. მაგრამ ამან დამაჯერებლობა ვერ წაართვა ეგვიპტის დელეგატის გამოსვლას. ამერიკის დელეგატმა დალესმა იმის შიშით, რომ დისკუსია ერთხმივობის წესის მოწინააღმდეგეთათვის არახელსაყრელ მიმართულებას მიიღებდა, უმალვე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ისე გაისმა, როგორც უკანდახევის სიგნალი. იგი ცდილობდა კომიტეტის წევრები დაერწმუნებინა, რომ ლაპარაკია მხოლოდ „კენჭისყრის პროცედურის დაზუსტებაზე". უშიშროების საბჭოს ღონისძიებანი წესდების მე-7 თავის საფუძველზე, რომელიც ეხება მოქმედებას მშვიდობისათვის საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ, უეჭველია, ერთხმივობის წესს უნდა ექვემდებარებოდეს. ერთხმივობის წესის მოქმედებიდან გამორიცხულ უნდა იქნას ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას მე-6 თავის საფუძველზე, რომელიც დავის მშვიდობიანად გადაჭრას ეხება. რაკი გრძნობდა, რომ ეს წინადადებანი მხარდაჭერას ვერ ჰპოვებდნენ იმ დელეგაციების მხრივაც კი, რომლებიც ჩვეულებრივ მორჩილად ასრულებენ ამერიკის კარნახს, და რაკი სურდა თავიდან აეშორებინა ფართო დისკუსია ამ საკითხზე, დალესმა წინადადება შეიტანა, რათა ეს საკითხი განსახილველად გადასცემოდა ამას წინათ და უკანონოდ შექმნილ სასესიათაშორისო კომიტეტს.

დალესი შეეცადა გაექარწყლებინა იმ დელეგაციების შიში, რომლებიც თუმცა ხმას აძლევენ ამერიკულ უმრავლესობასთან ერთად, მაგრამ მაინც არა სურთ საბოლოოდ გამოუთხარონ ძირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მან ფარისევლურად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „აღიარებენ უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივი წევრის შეთანხმების მიღწევის დიდმნიშვნელობას". დასასრულ მან შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პრობლემის" გადაცემას სასესიათაშორისო კომიტეტში, რომელმაც თავისი მოხსენება უნდა წარმოუდგინოს გენერალური ასამბლეის შემდეგ სესიას.

სრულიად ცხადია, რომ მკვდრადნაშობი სასესიათაშორისო კომიტეტი, რომელშიც მონაწილეობას არ მიიღებს სულ მცირე ექვსი დელეგაცია სსრ კავშირის მეთაურობით, ვერ შესძლებს უზრუნველჰყოს ამ საკითხის გადაწყვეტა. დალესს ესმოდა ეს და ამიტომ განაცხადა, რომ იგი მზად არის დათანხმდეს ამ საკითხზე გენერალური ასამბლეის სპეციალური კომიტეტის შექმნას.

შემდეგ მოხდა არახანგრძლივი, მაგრამ მღელვარე დისკუსია პროცედურის შესახებ. არგენტინის, კუბის, ფილიპინებისა და საბერძნეთის დელეგატებმა უმალვე განაცხადეს თავისი თანხმობა ამერიკის წინადადებებთან, მტკიცედ მოითხოვდნენ ამ საკითხის განხილვის შეწყვეტას და სასესიათაშორისო კომიტეტში მის გადაცემას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზიის წინააღმდეგ

დისკუსიის შეწყვეტის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგატი ა. ა. გრომიკო. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია სესიის დასაწყისშივე წინადადებას იძლეოდა ეს საკითხი არ შეეტანათ დღის წესრიგში, რომ ყველა დელეგაციას ეხელმძღვანელნა სურვილით — დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ იმ საკითხების განხილვით, რომლებიც საჭიროა მშვიდობის შესანარჩუნებლად, ეს საკითხი ახლა განსახილველი აღარ იქნებოდა. დელეგაციათა უმრავლესობამ მაშინ გადასწყვიტა ეს საკითხი დაეტოვებინა დღის წესრიგში. ახლა სურთ იგი მოხსნან განხილვიდან პოლიტიკურ კომიტეტში და გადასცენ სასესიათაშორისო კომიტეტს. ის დელეგაციები, რომლებმაც დასვეს საკითხი უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურის შესახებ და იგი სესიაზე გადაიტანეს, უკვე აღარ იჩენენ იმ ენთუზიაზმს, რომელიც მათ ორი თვის წინათ ჰქონდათ. მათი აღგზნება უკვე განელდა. მე არა მსურს ჯერჯერობით შევეხო ამ საკითხის არსს,—სთქვა გრომიკომ, — და ვუპასუხებ მხოლოდ დალესს. მის ძირითად განცხადებას წარმოადგენს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სურს გამოსძებნოს უშიშროების საბჭოში კენჭისყრის უკეთესი ფორმულა, მაგრამ რომ ამ ფორმულის მოსაძებნად საჭიროა საკითხის შესწავლა. ამერიკის დელეგაციამ იცის, რომ ამ ძიებიდან მისთვის კარგი არაფერი გამოვა, ვინაიდან მისი წინადადებანი ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ამიტომ მათი მიღება არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, იგი აყენებს ამ საკითხს იმისათვის, რომ შესაძლებლობა ექნეს დაუბრუნდეს მას გენერალური ასამბლეის შემდეგ სესიაზე.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ეს საკითხი ხელოვნურად არის შეტანილი დღის წესრიგში. საბჭოთა დელეგაცია აზრს გამოსთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ ეს და ყველა სხვა საკითხი გადაეცეს სასესიათაშორისო კომიტეტს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანონო ორგანოს წარმოადგენს. თუ დელეგაციათა უმრავლესობა ამას მოისურვებს, ეს მისი საქმეა. იგივე იქნება პასუხისმგებელი ამისათვის. სსრ კავშირის დელეგაციამ,—განაცხადა გრომიკომ,—დიდი ყურადღებით მოისმინა ეგვიპტის დელეგატის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს. ჩვენი აზრით, ასეთი განხილვა მხოლოდ ზიანს მიაყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. საბჭოთა დელეგაციას ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიაჩნია დღის წესრიგიდან ამ ორი საკითხის მოხსნა.

უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგატმა დ. ზ. მანუილსკიმ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ დალესის წინადადება ნავარაუდევია იმისათვის, რომ ერთი სროლით ორი კურდღელი მოჰკლას. დალესს სურს ერთსა და იმავე დროს მიაღწიოს დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის მოსპობას და უმცირესობის მონაწილეობა მიაღებინოს სასესიათაშორისო კომიტეტში. მაგრამ რაკი იცის, რომ სასესიათაშორისო კომიტეტში მონაწილეობას არ მიიღებს სულ მცირე ექვსი ქვეყანა, დალესი წინადადებას იძლევა შეიქმნას რაღაც კომიტეტი, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის. ამას იგი სჩადის, თუმცა იცის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ცვლილებასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი უნდა გადაწყდეს დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის საფუძველზე. მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას მოეპყრონ როგორც ფარატინა ქაღალდს. თუ დალესს სურს იმუშაოს ამაზე, მას შეუძლია სამისოდ შექმნას განყოფილება სახელმწიფო დეპარტამენტთან. ეს მისი საქმეა. მაგრამ ნურავითარი ილუზია ნუ ექნება, რომ იგი მოახერხებს სასესიათაშორისო კომიტეტში ჩაითრიოს ის ქვეყნები, რომლებმაც აზრი გამოსთქვეს ამ კომიტეტის, როგორც უკანონო ორგანოს, წინააღმდეგ.

მანუილსკი შეეხო ჩინეთის დელეგაციის წინადადებას გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ უშიშროების საბჭოს პროცედურის გადასასინჯავად და აღნიშნა, რომ ეს წინადადება წარმოადგენს იმ ქვეყნების დელეგაციების თავხედურ გამოწვევას, რომლებიც წესდების ნიადაგზე დგანან. ასეთ წინადადებებს შეუძლია გამოიწვიონ მხოლოდ უთანხმოებათა შემდგომი გაღრმავება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა შორის. ამიტომ უკრაინის დელეგაცია მხარს უჭერს სსრ კავშირის წინადადებას და სთვლის, რომ ყველაზე სწორი იქნებოდა დღის წესრიგიდან ამ საკითხების მოხსნა.

არგენტინის დელეგატმა არსემ გამოიჩინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრული უგულებელყოფა და განაცხადა, რომ „მსოფლიო ათასწლობით არსებობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უქონლად. არსე ამტკიცებდა, ვეტო დალუპვის კარამდე მიიყვანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასო, და განაცხადა, რომ მას სურს „ამპუტაცია გაუკეთოს" ამ პრივილეგიას. ორი ბანაკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში,—სთქვა მან,—ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს პოლიტიკით კი არ ყოფილა შექმნილი, არამედ უკვე არსებობდა მაშინ, როცა უკანასკნელი ხელმოწერა იყო გაკეთებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე. არსემ მოითხოვა საკითხის გადაცემა სასესიათაშორისო კომიტეტში. „ჩვენ, — განაცხადა მან,—მანამდე ვიდგებით ჩვენს პოზიციაზე, სანამ ვეტო არ მოისპობა".

შემდეგ გამოსულმა იუგოსლავიის დელეგატმა ბებლერმა აღნიშნა, რომ არგენტინა თანმიმდევრობას იჩენს თავის პოზიციაში. იგი იცავს ფრანკოს რეჟიმს და ამავე დროს თავს ესხმის დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესს, და ეს შემთხვევითი როდია,—სთქვა მან, — რადგანაც ფაშიზმის ნაშთებს ევროპაში არაფერი ისე არა სურთ, როგორც მოკავშირეთა გათიშვა.

ბებლერმა უპასუხა ერთხმივობის პრინციპის მოწინააღმდეგეებს და მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ მთელი რიგი სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით უშიშროების საბჭოში იყენებენ კოლექტიურ ვეტოს და ამით ჰფუშავენ შეთანხმებას ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. მან მოუწოდა დელეგატებს მხარი დაუჭირონ წინადადებას კომიტეტის დღის წესრიგიდან ერთხმივობის პრინციპის საკითხის მოხსნის შესახებ. „თუ თქვენ გსურთ ხელი შეუწყოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მუშაობას და გააძლიეროთ იქ არსებული უთანხმოებანი, გაჰყევით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას. თუ თქვენ გსურთ იმოქმედოთ ამ გამანადგურებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და შეინარჩუნოთ თუნდაც იმ თანხმობის ნაშთები, რომელიც ომის დროს არსებობდა, თუ თქვენ გსურთ იხსნათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და გახსნათ გზა თანამშრომლობისა დიდ სახელმწიფოთა შორის — მოხსენით ეს საკითხი დღის წესრიგიდან".

ჩილის დელეგატი, რომელიც მუდამ უჭერდა მხარს ამერიკის თვალსაზრისს, ამჯერად გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ საკითხი განსახილველად გადასცემოდა სასესიათაშორისო კომიტეტს.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატი სლავიკი გამოვიდა ერთხმივობის პრინციპის დასაცავად და მოითხოვა დღის წესრიგიდან ვეტოს საკითხის მოხსნა. „ჩვენ არა გვსურს, რომ ვეტო — ეს განხეთქილების საგანი—გენერალური ასამბლეის მაგიდაზე იდოს. ჩვენ არა გვსურს ერთხმივობის პრინციპისა და თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასუსტება".

შემდეგ სიტყვა აიღო ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგატმა კ. კისელიოვმა. არგენტინის დელეგაციამ,—სთქვა მან,—მაშინვე დაიწყო გაფთრებული იერიშები დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ, როგორც კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდა. ეს შემთხვევითი როდია. ომის დროს არგენტინამ დიდი დახმარება გაუწია მუსოლინისა და ჰიტლერს.

კისელიოვი შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უთანხმოებათა მიზეზებს და სთქვა, რომ ამ მიზეზებზე მიუთითებდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი. ამ მიზეზებზე ლაპარაკობდა ამ სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი. ლაპარაკია ორ კურსზე. ერთ-ერთი მათგანია თანასწორობასა და ინტერესთა ურთიერთ პატივისცემაზე დამყარებული საერთაშორისო თანამშრომლობა. ამ კურსს მისდევენ სსრ კავშირი და სლავური ქვეყნები. მეორე კურსი მიმართულია წესდების ძირის გამოთხრისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გათიშვისაკენ, რათა უმცირესობა ორგანიზაციის გარეშე დააყენონ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ომის დროს ჰქმნიდნენ ის ქვეყნები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შექმნილი იყო ბრძოლის ცეცხლში. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის წესდებას და არ შევარყიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. არსეს სურს გვიბიძგოს იმ გზისაკენ, რომელმაც გამოიწვია ერთა ლიგის დამხობა და მეორე მსოფლიო ომი. ჩვენ ამ კურსის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ცდებისა მოსპობილ იქნას ერთხმივობის წესები.

ბელორუსიის დელეგაცია დაიცავს წესდებას. იგი მხარს უჭერს წინადადებას დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნის შესახებ. მსოფლიოს ხალხები ჩვენგან მოელიან სერიოზულ გადაწყვეტილებებს და არა ლიტონ სიტყვებს.

რაკი ხედავდა, თუ რა არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ხელყოფის ავტორები, ინგლისის დელეგატმა შოუკროსმა წარმოსთქვა „მოხერხებული" სიტყვა, რომელიც დაიწყო განცხადებით, რომ მასზე შთაბეჭდილება მოახდინა ბელორუსიის დელეგატის გამოსვლამ. იგი თხოულობდა დაეჯერებინათ მისთვის, რომ ერთხმივობის წესის გაუქმების ან შეზღუდვისაკენ მიმართული წინადადებანი არ წარმოადგენენ იმ გზას, რომელსაც კონფლიქტისაკენ მივყავართ. შოუკროსი ცდილობდა ყოველნაირად შეემცირებინა წესდების წინააღმდეგ გალაშქრების საფრთხე და თავის თავს ასაღებდა ერთხმივობის წესის მომხრედ. „ჩვენ,—სთქვა მან,—საშიშრად გავამარტივებდით საკითხს თუ მივიჩნევდით, რომ გენერალურ ასამბლეაში შეიძლება მიღებულ იქნას უმცირესობის მიმართ უსამართლო გადაწყვეტილებანი".

შემდეგ შოუკროსმა განაცხადა, რომ ძირითად პრობლემას წარმოადგენს არა ვეტოს არსებობა, არამედ ვეტოს „ბოროტად გამოყენება". ჩვენ არა გვსურს ერთხმივობის წესის მოსპობა,—სთქვა მან,—ჩვენ მხოლოდ მოვუწოდებთ კეთილი ნებისაკენ მისი გამოყენების დროს. რაკი შოუკროსმა დაინახა, რომ არგენტინის წინადადება სპეციალური კონფერენციის მოწვევის შესახებ ვეტოს გასაუქმებლად პოპულარობით არ სარგებლობს დელეგატთა შორის, მან აზრი გამოსთქვა ასეთი კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ.

ამრიგად, შოუკროსმა დაიწყო სადღეგრძელოთი და, დაჰფარა რა ინგლის-ამერიკის უმრავლესობის უკანდახევა მისი კატეგორიული მოთხოვნიდან — დაუყოვნებლივ გაუქმებულიყო ერთხმივობის წესი უშიშროების საბჭოში, დაამთავრა სულთათანათი — უთანხმოებათა მავნებლობასა და საერთაშორისო ნდობის (რომლის ძირის გამოსათხრელადაც ინგლისის დელეგაციამ ცოტა რამ როდი გააკეთა) სარგებლიანობაზე ვრცელი მსჯელობის შემდეგ შოუკროსმა იმით დაამთავრა, რომ მხარი დაუჭირა ამერიკის წინადადებას სასესიათაშორისო კომიტეტში საკითხის გადაცემის შესახებ.

ამ სიგნალს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ინგლის-ამერიკის ბლოკის მომხრეები. კანადის, თურქეთის, ჰოლანდიისა და ავსტრალიის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას.

მაგრამ შვეციის დელეგატმა განაცხადა, რომ შვეციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლით მიიღო მისი წესდება და განზრახვა აქვს დაიცვას იგი. მან სთქვა, რომ შვეციის დელეგაციას წესდების გადასინჯვა უდროოდ მიაჩნია და გამოდის ვეტოს გასაუქმებლად კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ.

დანიის დელეგატი მიემხრო შვეციის დელეგატის განცხადებას.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა დელეგატმა ა. ა. გრომიკომ. გრომიკომ კომიტეტს გაახსენა უშიშროების საბჭოში ერთხმივობის წესის ისტორია და საბჭოს მუშაობის მაგალითებით ცხადჰყო, რომ ამ წესის ლიკვიდაცია სურთ იმათ, ვინც ცდილობს თავისი ნება თავს მოახვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. გრომიკომ ცხადჰყო, რომ, როცა საბჭოთა კავშირი უშიშროების საბჭოში თავის უფლებას იყენებს, იგი იცავს მცირე ქვეყნების ინტერესებს და წესდების პრინციპებს. მან განაცხადა, რომ არგენტინისა და ავსტრალიის წინადადება, რომელიც მიმართულია ერთხმივობის წესის ლიკვიდაციისაკენ, გადაჭრით უნდა იქნეს უარყოფილი, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგო.

გრომიკოს გამოსვლის შემდეგ დალესმა აღიარა, რომ ამერიკის წინადადებას სასესიათაშორისო კომიტეტში საკითხის გადაცემის შესახებ ერთ-ერთ მიზნად აქვს თავიდან აშორებულ იქნას დისკუსია ერთხმივობის პრინციპებზე. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ ეყარათ კენჭი ამერიკის რეზოლუციას. მაგრამ დისკუსიის შეწყვეტას გადაჭრით წინააღუდგნენ სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგატები. მიუხედავად თავმჯდომარის კაუფმანის (დანია) ყოველი ცდისა, კომიტეტის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა დალესს. სიტყვა აიღო უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელმა დ. ზ. მანუილსკიმ.

აქ ამტკიცებენ,—სთქვა მან,—რომ წესდების 27-ე მუხლი, რომელიც უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესს ამყარებს, საბჭოთა კავშირს პრივილეგიას ანიჭებს, მაგრამ ეს მუხლი „პრივილეგიას ანიჭებს" საბჭოს ხუთივე მუდმივ წევრს. ამ ქვეყნებს ეკისრებათ ძირითადი ამოცანები მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში.

როდესაც დიდ და მცირე სახელმწიფოთა უფლებების თანასწორობაზე ლაპარაკობენ, ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ უფლებათა თანასწორობა მოვალეობათა თანასწორობასაც გულისხმობს. არგენტინას რომ შეეძლოს ისეთივე პასუხისმგებლობა იკისროს, როგორც სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს აკისრიათ მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, მაშინ მას ისეთივე უფლებები უნდა მინიჭებოდა, როგორც მათ, ეს იქნებოდა თანასწორობა. მაგრამ რამდენადაც მცირე ქვეყნებს თავისი მდგომარეობისა და ძლიერ სახელმწიფოებზე დამოკიდებულების გამო არ შეუძლიათ შეასრულონ ის ვალდებულებანი, რომლებსაც დიდი სახელმწიფოები ასრულებენ, უფლებათა თანასწორობა მათთვის არსებითად იქნებოდა პრივილეგია დიდ სახელმწიფოთა ინტერესების საზიანოდ. ისეთი სიტყვებით ჯამბაზობისას, როგორიცაა „თანასწორობა", პასუხისმგებლობაც უნდა გახსოვდეთ.

მანუილსკიმ უპასუხა განცხადებაზე, უშიშროების საბჭოში უთანხმოებათა მიზეზი ვეტოს პრინციპიაო, და სთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიზისის მიზეზი, რაზედაც ბევრი დელეგატი ლაპარაკობს,—არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუდმივი დარღვევა და მისი მიზნებისა და პრინციპებისაგან ჩამოშორება. დღემდე განხორციელებული არ არის მეურვეობის პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებენ არათვითმმართველი ტერიტორიების თვითმმართველობას, მათს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობასაც კი. ინდონეზიის ხალხი იძულებულია ახლა იბრძოლოს უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ლათინური ამერიკის მცირე ქვეყნებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, მთელი ძალით სურთ ამერიკის დიქტატისაგან განთავისუფლება.

ომის დროს მოკავშირეებმა თავიანთ მიზნად გამოაცხადეს ფაშიზმის ყველა ნაშთის ლიკვიდაცია. მაგრამ ესპანეთის საკითხის განხილვამ ცხადჰყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბევრი მისი წევრი მხარს უჭერს ესპანეთის ფაშიზმს.

ბევრ ქვეყანაში კვლავ აზვიადებენ კომუნისტური საფრთხის აჩრდილს. თავის დროზე ამ აჩრდილს აზვიადებდნენ გერმანელი ფაშისტები. განა კომუნისტების დევნა მთელ რიგ ქვეყანაში არ მოგვაგონებს იმას, რაც იტალიასა და გერმანიაში ომის წინ იყო? აი რა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი.

ინგლისის დელეგატი აქ ლაპარაკობდა, რომ საჭიროა საერთაშორისო ნდობა. ჩვენც ამ ნიადაგზე ვდგავართ, მაგრამ თუ თქვენ შესცვლით წესდებას და მიაღწევთ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეშე დააყენოთ სახელმწიფოთა ჯგუფი, თქვენ საერთაშორისო ნდობას კი არ შექმნით, არამედ მოსპობთ მას.

ამერიკის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა პოლონეთის წარმომადგენელი კაც-სუხი, რომელმაც განაცხადა, რომ ერთხმივობის წესის გაუქმება ვერ გადასჭრის საერთაშორისო სიძნელეებს, რომლებიც დიდ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის უქონლობის შედეგს წარმოადგენს. ერთი სახელმწიფოს მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმრავლესობის მობილიზება უმცირესობის წინააღმდეგ, — აღნიშნა კაც-სუხიმ,—უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ვეტოს გამოყენება.

დისკუსია ამ საკითხზე გაგრძელდება პოლიტიკური კომიტეტის შემდეგ სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). როდესაც დისკუსია საკითხზე დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესის შესახებ დღეს დილით პოლიტიკურ კომიტეტში განახლდა, ყველასათვის ცხადი იყო, რომ პირდაპირი შეტევა წესდების ამ ძირითად პრინციპებზე მოგერიებულია დიდი მორალურ-პოლიტიკური ზარალით ინგლის-ამერიკის ბლოკისათვის. არგენტინისა და ავსტრალიის დელეგაციებს, რომლებიც აურზაურით ამსხვრევდნენ შუბებს თავიანთი ბატონ-პატრონების სამებლად, დღეს უკვე კრინტიც აღარ დაუძრავთ „ვეტოს პრივილეგიების გასაუქმებლად" სპეციალური კონფერენციის მოწვევის შესახებ. ერთი სიტყვაც არ თქმულა აგრეთვე წარსულ სესიაზე მიღებული რეზოლუციის შესახებ, რომელსაც მიზნად ჰქონდა შეეკვეცა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის წესი, თუმცა საკითხი მისი შესრულების შესახებ დღის წესრიგში დგას და კომიტეტის განხილვის ოფიციალურ საგანს წარმოადგენს.

დელეგაციების უმრავლესობა დღეს გამოვიდა არგენტინის წინადადების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ არ ეთანხმება ცდებს წესდების შეცვლის შესახებ. ნორვეგიის დელეგატმა აღნიშნა, „ვეტოს პრობლემა" ხანგრძლივ შესწავლას მოითხოვსო, და განაცხადა, რომ მის „დელეგაციას არავითარი პოზიცია არ დაუკავებია ამ საკითხში". ისლანდიის დელეგატმა აღნიშნა, რომ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივო-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ოთხ წელიწადში შევასრულოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი

კინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობისათვის

— ჩვენმა კოლექტივმა წლევანდე- საწარმოო გეგმა 31 ოქტომბერს ნაღდა. ჩვენ ვიკისრეთ წლის ბომდე დამატებით აწევითი შეკეთეან 16 ორთქლმავლის გამოშვება. ლენინგრადელები უფრო პასუხბი ამოცანებისაკენ მოგვიწოდებენ, შევასრულოთ ახალი სტალინური წლედი ოთხ წელიწადში. ამ პატოტულ ინიციატივას ჩვენ ერთსუნად დავუჭერთ მხარს, — განაცხა- თბილისის საორთქლმავლო დეპოს რის მოადგილემ ამხ. მ. კაციტა- ლენინგრადელთა მიმართვის გან- ხილველად მოწვეულ კრებაზე.

— აწევითი საამქროს კოლექტივი, ხადებს საამქროს პარტორგანიზაის მდივანი ამხ. ბ. ტურიაშვილი, ერთოვანებით უერთდება ლენინადელთა მიმართვას. ჩვენი საამქრო მარტო შეასრულებს ხუთწლიან გმას ოთხ წელიწადში, არამედ გეგ- გადამეტებით შეაკეთებს 40 თქლმავალს.

— ლენინგრადელთა მიმართვას გაცხვითი საამქროს კოლექტივი ახალი რმითი აღმავლობით უპასუხებს — ხ წელიწადში გადაჭარბებით შეასლებს ახალ ხუთწლედს,—სთქვა ამქროს ზეინკალმა დ. სურამელალმა.

კრებაზე პატრიოტული სიტყვებით მოვიდნენ მემანქანე ს. ელიაშვილი, მკავშირელი ზეინკალი დ. ხაჰაპური- მექვაბეები პ. ივანენკო და ა. დემეაშვილი, საამქროს უფროსი გ. ზააიანი და სხვები.

დეპოელებმა გადასწყვიტეს ჩაებან თწლედის 4 წელიწადში შესრულესათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში და თქლმავლების გარბენის ნორმა შეაულონ 4 წელიწადში, საშუალო სადღამისო გარბენას გადაამეტონ 5 კიმეტრით, ტექნიკური სიჩქარე გაადონ საათში 2 კილომეტრით, ორთმავლების აწევითი შეკეთების გეგმა სრულონ ვადამდე და გეგმის გადატებით გამოუშვან 40 ორთქლმავალი, საათით შეამცირონ აწევითი შეკებისათვის გათვალისწინებული დრო, ლო გარეცხვითი შეკეთებისა — ნაარი საათით, 5 პროცენტით დაზოგ საწვავი და ზუსტად დაიცვან თქლმავლების ტექნიკური ექსლოატაციის წესები, მოამზადონ მექანეებისა და კვალიფიციურ მუთა ახალი კადრები.

სტახანოველთა პირველი წარმატებანი

კალინინის სახელობის ქარხნის მუშები დასვენების დროს შეიკრიბნენ ლენინგრადელთა მიმართვის განსახილველად. ისინი გულდასმით გაეცნენ ამ პატრიოტულ ინიციატივას და ერთსულოვნად მოიწონეს იგი.

— ჩვენი ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეა დედაქალაქის საწარმოთა შორის. ჩვენ ვადამდე, 20 ნოემბრისათვის გავანაღდეთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმა და მას შემდეგ მესამე წლის ანგარიშში ვუშვებთ პროდუქციას. ახლა, ლენინგრადელთა ამ ახალი ინიციატივის საპასუხოდ, უფრო უნდა გავაძლიეროთ მუშაობა და შევასრულოთ ახალი ხუთწლედი ოთხ წელიწადში,—ამბობს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. სარქისოვი.

ტრიბუნაზეა მოწინავე სტახანოველი ჩამომსხმელი ამხ. ს. მისკალაშვილი. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა,—ამბობს იგი,—7 ნოემბრისათვის ნაკისრი ვალდებულებანი ვადამდე წარმატებით გაანაღდა. დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც გაორკეცებული ენერგიით ვიბრძოლებთ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. პირადად მე ვკისრულობ 1949 წლისათვის ექვსი წლის ნორმის შესრულებას.

— ახალგაზრდობის ზეინკალთა ბრიგადის სახელით ვაცხადებ, — სთქვა ბრიგადირმა ი. აფანასიევმა,—რომ ჩემი ბრიგადა ორნახევარ წელიწადში შეასრულებს ხუთწლიან გეგმას.

ლენინგრადელთა მიმართვას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და ახალი ვალდებულებანი იკისრეს სტახანოველებმა შ. ბერიძემ, დ. მურადოვმა, გ. გიგაურმა, ვ. პავლოვმა და სხვებმა.

კალინინელები პრაქტიკულად შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. 21 ნოემბერს სტახანოველებმა ვ. კალანდაძემ, ს. ჯანვერდაშვილმა, ვ. პავლოვმა, ა. კალაშნიკოვმა, ვ. სობოლმა და სხვებმა დღიური ნორმები 360-დან 480 პროცენტით გაანაღდეს.

მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი სამშობლოს

— ჩვენი ფაბრიკის 175 სტახანოველმა დიდი ხანია შეასრულა წლიური გეგმა, მათ შორის ბევრმა ორ-ორი წლის დავალება გაანაღდა. 45 სტახანოველმა ფეიქარმა 7 ნოემბრისათვის ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში 73.500 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი მისცა სამშობლოს,—სთქვა ლენინგრადელთა მიმართვის განსახილველად მოწვეულ კრებაზე თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ე. ლავთაძემ. ეს წარმატება მტკიცე რწმენას გვინერგავს, რომ ხუთწლიანი გეგმის განაღდებას ჩვენ შევძლებთ ვადამდე, საჭიროა უფრო გაბედულად განვახორციელოთ რაციონალიზატორული ღონისძიებანი, გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, ავამაღლოთ ფეიქართა კვალიფიკაცია, კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა.

— ლენინგრადელთა ინიციატივას ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ყოველთვის ერთსულოვანი მოწონებით ეგებებოდა. ასევე მოწონებით შევხვდებით ახლაც,—ამბობს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. ვ. ჩიქოვანი. გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, სრული დატვირთვით ვამუშაოთ დაზგა-დანადგარები, ფართოდ გავუზიაროთ ახალგაზრდა ფეიქრებს სტახანოველ ფეიქართა მუშაობის მეთოდები და ყოველივე ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულებას.

— მალე დავამთავრებ ხუთწლედის სამი წლის გეგმის შესრულებას. ახლა, ლენინგრადელთა ამ თაოსნობის საპასუხოდ ვკისრულობ ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში 150 პროცენტით გავანაღდო, — განაცხადა კრებაზე სტახანოველმა მქსოველმა ე. ურთაშვილმა.

ხუთწლედის 3 წელიწადში შესრულება იკისრა აგრეთვე სტახანოველმა მქსოველმა ე. ნიკულინამ.

ფეიქრებმა ერთსულოვნად მოიწონეს ლენინგრადელთა მიმართვა და იკისრეს გააუმჯობესონ ქსოვილის ხარისხი და უზრუნველჰყონ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდება 3 პროცენტით გეგმის გადამეტებით, აითვისონ ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილის წარმოება, გეგმის გადამეტებით 2 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, ახალ ხუთწლედში დაზოგონ 4 მილიონი მანეთი და მოამზადონ სხვადასხვა პროფესიის 300 მაღალკვალიფიციური მუშა.

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

ფშავ-ხევსურეთში

ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობა ენერულად ემზადება ადგილობრივი საბების არჩევნებისათვის. სოფლებში ბარისახოში, არხოტსა და ბაცალიგოში უკვე დამთავრდა სასოფ- საბჭოების არჩევნების საარჩენო კომისიების შემადგენლობაში დიდატების დასახელება. საარჩევ- კომისიებში დასახელებული არიან წინავე ადამიანები. ბარისახოს საფლო საბჭოს არჩევნების საარჩევ- კომისიის შემადგენლობაში არიან: ალგაზრდა ექიმი ქალი თ. ცქიტილი, მასწავლებელი მ. შადური, მოწინავე ხევსური ქალები მ. ალუდაუ- და ე. არაბული. ბაცალიგოს საფლო საბჭოს არჩევნების საარჩევ- კომისიაში არიან გ. წიკლაური, ბ. ჰინჭარაული, ხევსური ქალები ძ. ქეთელაური და ნ. ქისტაური.

ფშავ-ხევსურეთში ამჟამად 100-მდე აგიტატორი მუშაობს, მათ შორის კარგი მუშაობით გამოირჩევიან მოწინავე აგიტატორები: ი. ნაყეური, ალ. ხუცურაული, მ. ბოძაშვილი, ნ. ქისტაური და სხვ., რომლებიც მოსახლეობაში მიმზიდველ და შინაარსიან საუბრებს ატარებენ. სოფლებში: მაღაროში, კაწალხევში, შარახევში, ხომში, ჩარგალში, ბარისახოში, ბაცალიგოში, როშკაში და სხვაგან მოწყობილია აგიტპუნქტები, სადაც ამომრჩევლებს შეუძლიათ წაიკითხონ ჟურნალ-გაზეთები, მოუსმინონ რადიოს და მიიღონ პასუხი მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ა. თომაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გურჯაანელი რკინიგზელები სუსტად ემზადებიან

მშრომელთა დეპუტატების ადგიობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ადება გაცხოველებით მიმდინარე- გურჯაანის რაიონში. მაგრამ ამას ვიტყვით რკინიგზის კვანძის შესა-, სადაც არჩევნებისათვის სუსტად ზადებიან.

კვანძის პარტიულმა კომიტეტმა დივანი ამხ. ვლ. პავლიაშვილი) შექ- 5 აგიტკოლექტივი, რომლებიც თქმის 50 აგიტატორს აერთიანებენ, ტარა აგიტკოლექტივის ხელმძღვალთა თათბირი, მისცა კონკრეტული ვალებანი, მაგრამ მუშაობას გარდატეხა მაინც არ ეტყობა.

მოძრაობის აგიტკოლექტივის ხელძღვანელია ამხ. თეიმურაზ ხინთიძე. იგი სრულ უმოქმედობას იჩენს. აგიტატორთა მუშაობაზე წარმოდგენაც არა აქვს. მან ისიც კი არ იცის, თუ აგიტკოლექტივში რამდენი აგიტატორია გაერთიანებული.

რკინიგზის გურჯაანის სადგურზე რებელი მგზავრი იყრის თავს ყოველ საღამოს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში აგიტპუნქტი იყო მოწყობილი, მგზავრებისათვის აქ ეწყობოდა საუბრები, ლექციები, გაზეთების ხმამაღალი კითხვა. შირად მოიპოვებოდა საარჩევნო ლიტერატურაც. ამჟამად აგიტპუნქტში სრულიად არაფერი კეთდება.

მსგავსი მდგომარეობაა მე-12 სალიანდაგო დისტანციის აგიტკოლექტივშიც (ხელმძღვანელი ა. კაკაბაძე). ოთახი, სადაც აგიტპუნქტი უნდა მოეწყოს, ჯერაც არ არის განთავისუფლებული, მომარაგებული არა აქვთ ლიტერატურა. ამ აგიტკოლექტივში შემავალი აგიტატორები ნ. გეთიაშვილი, მ. კარლოვა და ა. არუთინოვა ერთგვარ მუშაობას ეწევიან ამომრჩეველთა შორის აგიტსაუბრებით, მაგრამ მაინც შეუძლებელია ითქვას, რომ აქ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

გურჯაანის რკინიგზელებს აქვთ კარგად მოწყობილი კლუბი (უფროსი ამხ. მატინოვი). საღამოს საათებში კლუბი სავსეა რკინიგზელებით, ხოლო მათთან, როგორც ამომრჩევლებთან, არავითარი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა არა სწარმოებს. კლუბში ვერ ნახავთ საარჩევნო პლაკატ-ლოზუნგებს, არ არის მოწყობილი და გაფორმებული აგიტპუნქტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს გურჯაანის რკინიგზის კვანძის პარტიულ ორგანიზაციას და მიიღოს ზომები ამ ორგანიზაციის მიერ არჩევნებისათვის მზადების გასაძლიერებლად.

არ. კოკილაშვილი

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

საორთქლმავლო დეპოში

დეპოს კოლექტივმა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოსა და ლენინის რაიონული საბჭოს არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში მრავალი მოწინავე ადამიანი წამოაყენა. საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დასახელებულია საორთქლმავლო გუნდის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. მაისურაძე, ორთქლმავლის მიმღები ა. დავითაშვილი და კომპრესორის მემანქანე ნ. გულიაევა, მემანქანე ნ. ყიფიანი, მემანქანის თანაშემწე ი. რეინბახი, ხარატი ს. ბერნატი და სხვები.

გულისხმიერი ექიმი და კარგი მოქალაქე

ათი წელია, რაც თელავის მშრომელ მოსახლეობას საექიმო მომსახურებას უწევს ექიმი აკაკი იოსების-ძე ჯაფარიძე. გამოჩენილი დოსტაქრის აკადემიკოს გ. მუხაძის ხელმძღვანელობით აღზრდილი ექიმი 1938 წელს დაინიშნა თელავის რაიონულ საავადმყოფოში და სათავეში ჩაუდგა ქირურგიულ განყოფილებას. დღემდე მან 4.000-ზე მეტი ოპერაცია გააკეთა და აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს არავითარი გართულება არ მოჰყოლია. ექიმ ჯაფარიძეს სიყვარულით იხსენიებენ თელავის, ახმეტის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონების მშრომელები. პირველი შემთხვევისთანავე ისინი თელავის საავადმყოფოს მიმართავენ. აი ქირურგიული განყოფილების ავადმყოფთა ისტორიის წიგნიც:

„კარგია, რომ ჩვენში უფრო მეტი იყოს ისეთი ექიმი, როგორიც აკაკი იოსების-ძე არის — სწერენ ავადმყოფთა ისტორიის წიგნში თელავის საავადმყოფოში განკურნებული სამამულო ომის მონაწილენი, — ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება მისი მზრუნველი ხელი, სათნო და მგრძნობიარე დამოკიდებულება“.

ექიმი ჯაფარიძე დაუღალავად სრულჰყოფს თავის კვალიფიკაციას. მან სამი თვე დაჰყო მოსკოვში, მუშაობდა ცნობილი ქირურგის აკადემიკოს იუდინის ხელმძღვანელობით მოსკოვის კლინიკებში.

ექიმი ჯაფარიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში. მოწინავე ექიმი და საბჭოთა მოქალაქე თელავის მშრომელებმა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარგზავნეს.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

საბჭოთა სახელმწიფო არის ახალი, უმაღლესი ტიპის სახელმწიფო, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდება ბურჟუაზიული სახელმწიფო სისტემებისაგან.

ბურჟუაზიული სახელმწიფო ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის, მშრომელთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის იარაღია. ბურჟუაზიული დემოკრატია არის დემოკრატია მხოლოდ ბურჟუაზიისათვის, ექსპლოატატორებისათვის, მახე და მოტყუებაა ჩაგრულთათვის, ღარიბთათვის, მილიონობით უბრალო ადამიანისათვის.

ბურჟუაზია თავისი ბატონობის პირველივე დღიდან განუწყვეტლივ გაჰყვირის ბურჟუაზიული სახელმწიფოს დემოკრატიულობასა და ხალხურობაზე, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბურჟუაზიული წყობილების არსებობის მთელ მანძილზე ჯერ არსად ყოფილა შემთხვევა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მშრომელი ხალხის ხელში ყოფილიყოს. როგორც წესი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში ერთმანეთს სცვლიან მხოლოდ ბურჟუაზიული პარტიები და გაიძვერა ბურჟუა „პოლიტიკოსები“, რომელთაც აყენებს არა ხალხი, არამედ მსხვილი კაპიტალისტები და მემამულეები და რომლებიც ერთგულად ემსახურებიან მხოლოდ ამ უკანასკნელთა კლასობრივ ინტერესებს.

ასეა ინგლისშიც, საფრანგეთშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, — ყველგან, სადაც კერძო საკუთრება და კაპიტალი ბატონობს, მაგრამ, როგორც ჯერ კიდევ ფ. ენგელსი სწერდა: „არსად არ წარმოადგენდნენ „პოლიტიკოსები“ ერის ისეთ განცალკევებულსა და გავლენიან ნაწილს, როგორც ჩრდილოეთ ამერიკაში. იქ ორ დიდ პარტიას, რომელთაც ბატონობა ხელში მორიგეობით უვარდებათ, თავის მხრივ მართავენ ადამიანები, რომელთაც პოლიტიკა ხელობად გადააქციეს, ისინი სპეკულაციას ეწევიან კავშირისა და ცალკე შტატების საკანონმდებლო კრებების ადგილებით, ან კიდევ თავისი პარტიისათვის წარმოებული აგიტაციით ცხოვრობენ, ხოლო გამარჯვების შემდეგ ჯილდოდ რაიმე თანამდებობას იღებენ... აქ არის ორი დიდი ბანდა პოლიტიკური სპეკულანტებისა, რომელნიც მორიგეობით სახელმწიფოებრივ ძალას ეუფლებიან და მას ბილწი მიზნებისათვის იყენებენ ბილწი საშუალებების შემწეობით“.1)

ფ. ენგელსის ეს სიტყვები გაცილებით მეტი სიძლიერით შეიძლება განმეორებულ იქნას დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიმართ.

საბჭოთა სახელმწიფო, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა, ნამდვილად ხალხური სახელმწიფოა. საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესები სავსებით ერთიდაიგივეა, ხალხი თვითონ მართავს და განაგებს სახელმწიფოს თავისი ინტერესების შესაბამისად. საბჭოთა ხალხს აქვს ყველა საფუძველი, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, განაცხადოს: „სახელმწიფო — ეს თვითონ ჩვენ ვართ“.

* * *

საბჭოთა სახელმწიფო ძირფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან არა მარტო შინაარსით, მიზნებითა და ამოცანებით, არამედ თავისი მმართველობის აპარატის ორგანიზაციითაც.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების ერთიან და განუყოფელ ორგანიზაციას. „საბჭოთა ხელისუფლება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არის ადგილობრივი საბჭოების გაერთიანება და ჩამოყალიბება ერთ საერთო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად“.2) ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი საბჭო, უმაღლესი საბჭოდან დაწყებული და სასოფლო საბჭოთი დამთავრებული, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუშათა კლასის დიქტატურის ორგანოს. სტალინური კონსტიტუციის 94-ე მუხლში ნათქვამია: „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მხარეებში, ოლქებში, ავტონომიურ ოლქებში, ოკრუგებში, რაიონებში, ქალაქებში, სოფლებში (სტანიცებში, სოფლებში, ხუტორებში, ყიშლაკებში, აულებში) წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ძირეულად განსხვავდებიან ეგრეთწოდებული „ადგილობრივი თვითმმართველობის“ ორგანოებისაგან, რომლებიც არსებობდნენ მეფის რუსეთში და რომლებიც ახლაც არსებობენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავისი ფორმით სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ არსებითად ისინი არსად არ ითვლებიან სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებად, მათ რეალურად არ გააჩნიათ მართვა-გამგეობის უფლებები. ბურჟუაზიამ თავისი სრული და შეუზღუდავი ძალაუფლების განსამტკიცებლად ადგილებზე, თვითმმართველობათა გვერდით შექმნა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ზემოდან დანიშნულ მოხელეთა მთელი სისტემა. ფაქტიურად მართავენ და განაგებენ მთავრობის მოხელეები: გუბერნატორები, პრეფექტები, ბურგომისტრები და სხვა ჩინოსანნი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არსებობენ მხოლოდ ფორმალურად, მოსაჩვენებლად, რადგან ფაქტიურად მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადასწყვიტონ და განახორციელონ რაიმე, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი. ისინი იხილავენ ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის წვრილმან საკითხებს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ვ. ი. ლენინი თვითმმართველობებს „პირსაბანების მოკალვის ორგანოებს“ უწოდებდა.

ინგლისში თვითმმართველობის ძირითად ორგანოდ საგრაფოში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) ითვლება საგრაფოს საბჭო, რომელსაც მოსახლეობა ირჩევს სამი წლის ვადით. მას ჩვეულებრივად „სახალხო წარმომადგენლობას“ უწოდებენ, მაგრამ რამდენად სახალხოა იგი, ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ მის ამომრჩევლად შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვინც „მესაკუთრეა ან რაიმე მიწის მოიჯარადრეა და აქვს შენობა მოცემულ საარჩევნო რაიონში“. ასეთი საარჩევნო სისტემით, ცხადია, თვითმმართველობის ორგანოებში უმთავრესად ექცევიან ლორდები და მსხვილი მესაკუთრეები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასოფლო თემების, საგრაფოებისა და ქალაქების თვითმმართველობებში მოკალათებული არიან მქონებელი კლასების წარმომადგენლები. საარჩევნო კანონი შეიცავს ისეთ შეზღუდვებს, ხოლო არჩევნების მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ არჩევნების უფლებას ფაქტიურად ვერ ახორციელებს მშრომელი მასების უდიდესი ნაწილი. დამახასიათებელია, რომ 13 მილიონი ზანგიდან მხოლოდ რამდენიმე ათას კაცს აქვს საარჩევნო უფლება.

ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საარჩევნო კანონით დაწესებულია ქონებრივი, ბინადრობის, ასაკობრივი და სხვა ცენზი. ცემა, დაპატიმრება, მოსყიდვა, მუქარა, შანტაჟი ბურჟუაზიის ჩვეულებრივი ხერხებია არჩევნების დროს ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოსახდენად. ბურჟუაზია ყველა ღონეს ხმარობს, რათა მმართველობის ორგანოებში არ იქნან დაშვებული მუშათა კლასის წარმომადგენლები — კომუნისტები, პროგრესიული ადამიანები, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

სულ სხვაა საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა. იგი დამყარებულია სრული, ბოლომდე თანმიმდევრული დემოკრატიის პრინციპებზე. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს უშუალოდ ირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა. საბჭოს დეპუტატი ხალხის მსახურია და უშუალოდ პასუხისმგებელია ხალხის წინაშე. ამომრჩევლებს ყოველთვის შეუძლიათ უკანვე გაიწვიონ დეპუტატი, თუ მან ვერ გაამართლა ხალხის ნდობა. საბჭოებს არ გააჩნიათ სხვა ინტერესი, გარდა ხალხის ინტერესებისა. მთელი მათი მუშაობა მიმართულია მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ამაღლებისაკენ, მშრომელთა ინტერესების დაცვისაკენ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არიან მოსახლეობის არჩევითი ორგანოები, სახელმწიფო ხელისუფლების სრულუფლებიანი ორგანოები ადგილებზე. მათ უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებანი და გასცენ განკარგულებანი იმ უფლებათა ფარგლებში, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით. მათ უფლება აქვთ გააუქმონ და შესცვალონ ქვემდგომი საბჭოს ყოველგვარი გადაწყვეტილება და განკარგულება. ადგილობრივი საბჭო ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია როგორც თავისი ამომრჩევლების, ისე ზემდგომი ორგანოების წინაშე.

უაღრესად მრავალფეროვანია ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციაში შემავალი საკითხები, მეტად საპასუხისმგებლოა მათ წინაშე მდგომი ამოცანები. ადგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ ადგილობრივ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, აწესებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, უზრუნველჰყოფენ სახელმწიფო წესრიგის დაცვას, მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ხელს უწყობენ ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერებას, ხელმძღვანელობენ მმართველობის მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობას.

ადგილობრივი საბჭოების ხელშია დიდი ფულადი თანხები, რომლებიც ხმარდება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას, მშრომელთა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას.

განსაკუთრებით დიდია ადგილობრივი საბჭოების როლი ახლა, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. მათს აქტიურ, ნაყოფიერ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარება, ახალი სტალინური ხუთწლედით დასახული დიად ამოცანათა წარმატებით განხორციელება.

ადგილობრივ საბჭოებს აქვთ თავიანთი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები — აღმასრულებელი კომიტეტები. აღმასკომი შესდგება: თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მდივნისა და წევრებისაგან. მცირედ დასახლებულ დაბებსა და სოფლებში აღმასკომს შეადგენენ მხოლოდ თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი. აღმასკომები თავიანთ ტერიტორიაზე სამეურნეო-პოლიტიკურ და კულტურულ მშენებლობას ხელმძღვანელობენ სათანადო საბჭოს და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე და ანგარიშვალდებული არიან ამავე ორგანოების წინაშე.

მეურნეობისა და კულტურის ცალკე დარგებზე ყოველდღიური პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის საბჭოების აღმასკომებთან (გარდა სასოფლო საბჭოსი) იქმნება განყოფილებები. ამ განყოფილებათა სახეობანი მტკიცედ განსაზღვრულია და ჩამოთვლილი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში. აღმასკომის განყოფილებები ანგარიშვალდებული არიან და ემორჩილებიან როგორც თავიანთ საბჭოს და მის აღმასკომს, ისე შესაბამის ზემდგომ ორგანოს.

სასოფლო საბჭოსთან დარგობრივი განყოფილებები არ იქმნება. მთელ მუშაობას თავის ტერიტორიაზე წარმართავს და ხელმძღვანელობს სასოფლო საბჭო და მის მიერ არჩეული აღმასკომი.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობა აგებულია სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპებზე. მაგალითად, საქართველოს სსრ კონსტიტუციით რაიონული საბჭოების სესიები იწვევა ექვსჯერ მაინც წელიწადში, ხოლო საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების სესიები თვეში ერთხელ მაინც. სესიებზე ირჩევა და წყდება რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. რაიონული და საქალაქო საბჭოები თავიანთი სესიებისათვის ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს სესიის სხდომათა გასაძღოლად. სესიის ჩატარების ასეთი წესი უზრუნველჰყოფს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, დეპუტატთა აქტივობასა და საკითხების ყოველმხრივ განხილვას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები უაღრესად მასობრივი ორგანოებია. საკმარისია ითქვას, რომ მომავალ არჩევნებში მთელ ჩვენს ქვეყანაში არჩეულ იქნება მილიონნახევარზე მეტი დეპუტატი. საბჭოები თავიანთი მუშაობით უკავშირდებიან მშრომელთა მრავალ სხვადასხვა ორგანიზაციას, თავიანთ გარშემო იკრებენ აქტივს და სახელმწიფო მმართველობაში აბამენ მშრომელთა უფართოეს მასებს. მშრომელთა მრავალი ორგანიზაცია: პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაციული, კულტურული, სასპორტო და სხვა ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან საბჭოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებით კიდევ უფრო გაფართოვდება და განმტკიცდება მათი კავშირი ამომრჩევლებთან. ადგილობრივი საბჭოების არჩევნები იქნება სოციალისტური დემოკრატიის ახალი ზეიმი, იგი ხელს შეუწყობს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ აღმავლობას, საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებას.

საქართველოს მშრომელები 1948 წლის 11 იანვარს ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო ყუთებთან ადგილობრივი საბჭოების ასარჩევად და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ეს იქნება ახალი, მძლავრი დემონსტრაცია ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო ქართველი ხალხის მტკიცე და ურღვევი დარაზმულობისა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად.

ვ. ესაიაშვილი

---

1) ფ. ენგელსის მიერ 1891 წელს დაწერილი წინასიტყვაობა კ. მარქსის ბროშურისათვის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, გვ. 17-18.

2) ი. ბ. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, XI გამოც., გვ. 42.

გენერალური ასამბლეის კომიტეტებში

(დასასრული)

ზის წესის გამოყენება შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების გზით. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება საერთაშორისო კომიტეტში შესასწავლად „ვეტოს" საკითხის გადაცემის შესახებ სასარგებლო საქმე არ იქნება. იგი აგრეთვე გამოვიდა არგენტინის წინადადების წინააღმდეგ. თავის გამოსვლებში არგენტინის წინადადებას მხარი არ დაუჭირეს არც ჩინეთისა და საფრანგეთის დელეგატებმა.

ყოველივე ამან აიძულა ამერიკის დელეგატი დალესი მეორედ გამოსულიყო დღეს. რაკი გრძნობდა, რომ არგენტინის უკვე ჩაფლავებული, გიჟური წინადადებისათვის მხარდაჭერა მისთვის სახელის გატეხის მომასწავებელი იქნებოდა, იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ შეაქო თავისი წინადადება საერთაშორისო კომიტეტში შესასწავლად საკითხის გადაცემის შესახებ. დალესმა ამ წინადადებას „განსაკუთრებით მოკრძალებული" წინადადება უწოდა და დელეგატებს არწმუნებდა, რომ იგი არავის ზიანს არ მოუტანს და მხოლოდ იმას გამოიწვევს, რომ ერთხმივობის წესის საკითხი შესწავლილ იქნება „მახლობელ წლებში". ეს წინადადება, — სთქვა მან, — მიმართულია მხოლოდ კენჭისყრის პროცედურის გასაუმჯობესებლად. დალესი ცდილობდა გაექარწყლებინა ამ დელეგაციათა უმრავლესობის შიში, რომელთაც არა სურთ წესდების რევიზია, და განაცხადა: ერთხმივობის პროცედურის შეცვლის საკითხში საჭიროა „განსაკუთრებული თავდაჭერა" გამოვიჩინოთ.

რაკი სურდა უზრუნველეყო თავისი რეზოლუციისათვის მხარდაჭერა, დალესმა დემაგოგიურ მანევრს მიმართა ახალი წევრების მიღების საკითხის განხილვისას. პოლონეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები კონსულტაციას ეწეოდნენ ურთიერთ შორის ცალკეულ განცხადებებზე შეთანხმების გაადვილების მიზნით. ეს წინადადება მოიწონა დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ და მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ. ახლა ამერიკის დელეგაციამ ასეთივე წინადადება შეიტანა თავის რეზოლუციაში აშკარა მიზნით უფრო მისაღები გაეხადა იგი და, თუმცა გუშინდელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა, რომ ამერიკის დელეგაცია თავს არიდებს კონსულტაციას არსებითად იმ საკითხებში, რომლებიც განხილულ უნდა იქნან უშიშროების საბჭოში, დალესი დღეს ყოველნაირად აყენებდა წინ თავისი რეზოლუციის ამ პუნქტს, რომელიც მის მიერ ნასესხებია პოლონეთის დელეგაციისაგან.

ამერიკის დელეგატის დემაგოგიური მანევრი გამოამჟღავნა სსრ კავშირის დელეგატმა ა. ა. გრომიკომ. ამერიკის დელეგატი,—სთქვა მან, — აქ ლაპარაკობდა კონსულტაციის საჭიროებაზე. როგორც გამოცდილებამ ცხადჰყო, ეს ლიტონი ფრაზაა. ლაპარაკი კონსულტაციებზე სწარმოებს გენერალური ასამბლეის თითოეულ სესიაზე, მაგრამ, როგორც კი სესია დამთავრდება, კონსულტაცია უკვე აღარ ახსოვთ.

ამერიკის დელეგაციამ მშვენივრად იცის, რომ საბჭოთა კავშირს არასოდეს არ უთქვამს უარი კონსულტაციაზე უშიშროების საბჭოში, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი კონსულტაციები არა ყოფილა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ტრიესტის საკითხი, და ისიც იმიტომ, რომ ასეთი კონსულტაციები გათვალისწინებულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებით. სხვა საკითხებზე კონსულტაცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა სურს.

თუ მხედველობაში აქვთ კონსულტაციები არსებითად იმ საკითხებზე, რომლებზეც უშიშროების საბჭო მუშაობს,—სთქვა გრომიკომ, — საბჭოთა დელეგაცია მზად არის დათანხმდეს ასეთ კონსულტაციებზე. ხოლო თუ ლაპარაკია კონსულტაციებზე ერთხმივობის წესის გაუქმების შესახებ, მაშინ ეს კონსულტაციები წარმოადგენენ მხოლოდ მანევრს, რომლის დახმარებითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ თავის მიზნებს მიაღწიონ. ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ კონსულტაციას, რომლებიც მიმართულია უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობის წესის შესაზღუდავად.

პოლონეთისა და იუგოსლავიის დელეგატების გამოსვლის შემდეგ კომიტეტი შეუდგა ამერიკის რეზოლუციისათვის მუხლობრივ კენჭისყრას. „უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პრობლემის" საერთაშორისო კომიტეტისათვის გადაცემის კარს ხმა მისცა 35 დელეგაციამ; ამ კარის წინააღმდეგ ხმა მისცეს სსრ კავშირის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა და ჩილის დელეგაციებმა. კენჭისყრისაგან თავი შეიკავა 11 დელეგაციამ (სირია, საუდის არაბეთი, ისლანდია, ეთიოპია და სხვ.). ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა აგრეთვე ის კარი, რომელიც უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ურჩევს კონსულტაცია გასწიონ ურთიერთშორის „უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პრობლემის საკითხზე". სსრ კავშირის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, იემენის, ლიბანისა და სირიის დელეგაციებმა თავი შეიკავეს ამ კარისათვის კენჭისყრისაგან. სულ რეზოლუციამ მიიღო 36 ხმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 6 დელეგაციამ, თავი შეიკავა 11 დელეგაციამ.

არგენტინის დელეგაციის წინადადება „ვეტოს გასაუქმებლად" სპეციალური კონფერენციის მოწვევის შესახებ კენჭის საყრელად არ დაუსვამთ. კომიტეტის თავმჯდომარემ ბეხმა არგენტინის დელეგატს წინადადება მისცა დაჟინებით არ მოეთხოვა მისი რეზოლუციისათვის კენჭისყრა. არგენტინის დელეგატმა თავისი რეზოლუცია უკან წაიღო.

ამრიგად, კრახი განიცადა მორიგმა ცდამ დაემსხვრიათ უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა კენჭისყრის კანონიერი წესი. ერთხმივობის წესის მოწინააღმდეგეებს წარმატებას არ უქადის ამ საკითხის გადაცემაც უკანონოდ შექმნილ საერთაშორისო კომიტეტში, ვინაიდან 6 დელეგაცია სსრ კავშირის მეთაურობით ამ კომიტეტში მონაწილეობას არ იღებს. და ამიტომ მას არ შეუძლია მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, რომელსაც კანონიერი ძალა ექნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.

იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის მომხრეები უკან იხევენ

პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განხილვას. ეს საკითხი თავის დროზე შეტანილი იყო გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში არგენტინის დელეგაციის წინადადებით და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ძლიერი ზეგავლენით. ამერიკის დელეგატმა ჯონსონმა 23 სექტემბერს გენერალურ კომიტეტში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ემხრობიან გენერალური ასამბლეის მიერ ისეთი რეზოლუციის მიღებას, „რომელიც იტალიის ხელშეკრულების მონაწილეებს აქეზებს განიხილონ ამ ხელშეკრულების შეცვლის შესაძლებლობა".

საბჭოთა დელეგაციამ გაილაშქრა დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ, როგორც გენერალურ კომიტეტში, ისე გენერალური ასამბლეის პლენუმზე. იგი აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამ საკითხის განხილვის შესახებ წინადადებისათვის მხარდაჭერა იმ მომენტში, როცა საზავო ხელშეკრულება იტალიასთან ახლახან შევიდა ძალაში, მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უპატივცემლობას მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებებისადმი.

დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის სასარგებლოდ გენერალურ კომიტეტში მაშინ ხმა მისცა წევრთა მესამედზე ნაკლებმა. გენერალური ასამბლეის პლენუმზე დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის სასარგებლოდ მიცემულ იქნა სულ მხოლოდ 22 ხმა. ამრიგად, ეს საკითხი განსახილველად დასმული იყო დელეგაციების მნიშვნელოვანი რაოდენობის ნების წინააღმდეგ.

კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე განცხადებით გამოვიდა არგენტინის დელეგატი. რადგანაც, დელეგაციების უმრავლესობის აზრით, ამ საკითხის განხილვა უდროოა და მას შეუძლია გამოიწვიოს გართულებანი,—სთქვა მან,—არგენტინის დელეგაცია თხოულობს ეს საკითხი მოხსნილ იქნას დღის წესრიგიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ოსტინმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა მოიხსნას ეს საკითხი, თუმცა მის დელეგაციას მიაჩნია, რომ იტალიასთან საზავო ხელშეკრულება „შეიცავს არადამაკმაყოფილებელ მუხლებს".

უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგატმა დ. ზ. მანუილსკიმ სთქვა, რომ უკრაინის დელეგაცია არგენტინის წინადადებას მუდამ განიხილავდა, როგორც პროპაგანდისტულ მანევრს, ამიტომ იგი კმაყოფილებით უჭერს მხარს წინადადებას პოლიტიკური კომიტეტის განხილვიდან ამ საკითხის მოხსნის შესახებ.

საბჭოთა დელეგატმა ა. ა. გრომიკომ კომიტეტს მოაგონა, რომ საბჭოთა დელეგაცია აზრს გამოსთქვამდა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ, და სთქვა: „საბჭოთა დელეგაციის პოზიცია უცვლელი რჩება. საკითხი იტალიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ არ შეიძლება განხილულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ვინაიდან მისი განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას".

კომიტეტმა გადასწყვიტა საკითხი იტალიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ მოიხსნას გენერალური ასამბლეის დღის წესრიგიდან.

კომიტეტმა განუხილველად ერთხმად მიიღო ახალი წევრების მიღების პროცედურის ახალი წესები, რომლებიც უშიშროების საბჭომ დაამტკიცა. განუხილველად მიღებულ იქნა აგრეთვე უშიშროების საბჭოს მოხსენება, რომელიც შეიცავს ანგარიშს საბჭოს გასული წლის მუშაობისა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

ამით ამოწურულ იქნა პოლიტიკური კომიტეტის დღის წესრიგი და კომიტეტმა თავისი მუშაობა დაამთავრა.

ზილიაკუსი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა ზილიაკუსმა, რომელიც გამოვიდა „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს" მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე, დაჰგმო ამერიკის შეერთებული შტატები „მკაცრი" ანტისაბჭოთა პოლიტიკის განხორციელების გამო, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს. მან განაცხადა, რომ ინგლის-ამერიკის კოალიციის მიერ საბჭოთა კავშირის დაშინების პოლიტიკას წარმატება არ ექნება იმის გამო, რომ ჩერჩილს არ შეუძლია მოიპოვოს ინგლისელი ხალხის მხარდაჭერა ანტისაბჭოთა სამხედრო ავანტიურის მოსაწყობად. სწორედ ასევე დე გოლს არ შეუძლია საფრანგეთი გადასცეს შეერთებული შტატების განკარგულებაში ანტისაბჭოთა სამხედრო მანქანისათვის გამოსაყენებლად.

კითხვაზე, არსებობს თუ არა რაიმე იმედი, რომ საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა შესძლონ თავიანთ უთანხმოებათა მორიგება, ზილიაკუსმა სთქვა, რომ ეს მეტწილად დამოკიდებულია შეერთებულ შტატებზე, ვიდრე საბჭოთა კავშირზე, ვინაიდან შეერთებული შტატები დიდ აქტივობას ავითარებენ ბევრ პუნქტში, რომლებიც დაშორებულია შეერთებულ შტატებს, მაგრამ რომლებიც საბჭოთა კავშირთან ახლოს მდებარეობენ. შემდეგ ზილიაკუსმა განაცხადა, რომ, მიუხედავად ანტისაბჭოთა ისტერიისა შეერთებულ შტატებში, მას ვერ გამოურკვევია, რაში ეჯახებიან ერთმანეთს საბჭოთა კავშირის ნაციონალური ინტერესები და შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესები.

ზილიაკუსმა კომენტარი გაუკეთა „მარშალის გეგმას" და სთქვა, რომ ევროპის ეკონომიური აღდგენის საკითხი უნდა ჩამოშორდეს „კომუნიზმის წინააღმდეგ საღვთო ომის წარმოების" იდეას. ინგლისელი ხალხი და ევროპის სხვა ხალხები მიესალმებიან ამ დახმარებას, მაგრამ ბევრნი ნერვიულობას იჩენენ იმასთან დაკავშირებით, რომ მარშალმა თავის გეგმაში შეიტანა „იდეოლოგიური პირობები", რომლებიც შეუძლებელს გახდიან ამ გეგმის განხორციელებას. „ინგლისელებს არა სურთ, რომ ინგლისი მეორე საბერძნეთი გახდეს",—განაცხადა ზილიაკუსმა.

ზილიაკუსმა მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე „მარშალის გეგმა", როგორც ისეთი გეგმა, რომელიც აღმოსავლეთი ევროპის წინააღმდეგ გერმანიის ფორპოსტად გადაქცევის „ნახევრად-სტრატეგიულ იდეას" შეიცავს. შემდეგ მან სთქვა, რომ დასავლეთმა და აღმოსავლეთმა ევროპამ ერთმანეთთან უნდა ივაჭრონ და რომ დასავლეთი ევროპა აღმოსავლეთი ევროპის დაუხმარებლად ბანკროტს წარმოადგენს.

გოტვალდის განცხადება

პრაღა, 22 ნოემბერი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა გოტვალდმა მიიღო სლოვაკიის ნაციონალური საბჭოს რწმუნებულთა კორპუსის ახალი შემადგენლობა. მას შემდეგ, რაც რწმუნებულთა კორპუსის წევრებმა ფიცი მიიღეს, გოტვალდმა მათ მიმართა მოკლე სიტყვით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა რწმუნებულთა ახალი კორპუსის წინაშე დასმული ძნელი ამოცანები.

— რწმუნებულთა ახალი კორპუსის შექმნის საჭიროება,—სთქვა გოტვალდმა, — გამოწვეული იყო რწმუნებულთა წინანდელი კორპუსის გადადგომით, რომელმაც თავისი შემადგენლობის გამო ვერ შეასრულა მისთვის დაკისრებული ამოცანები, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის მომარაგების, სახელმწიფო უშიშროების დაცვის, აგრეთვე რეაქციული შეთქმულებრივი ელემენტებისაგან სახელმწიფო აპარატის წმენდის ჩატარების საქმეში.

სოფლის მეურნეობისა და მომარაგების დარგში სლოვაკიის ნაციონალური საბჭოს რწმუნებულთა აპარატში შეთქმულთა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოაშკარავება,—განაგრძო გოტვალდმა, — მნიშვნელოვანწილად განმარტავს სლოვაკიის მოსახლეობის სურსათით მომარაგების დარგში არანორმალური მდგომარეობის მიზეზებს.

შემდეგ გოტვალდმა განაცხადა, რომ სლოვაკიაში უნდა ჩატარდეს რადიკალური ცვლილებანი სასურსათო პოლიტიკის დარგში.

გოტვალდმა მოუწოდა იუსტიციისა და უშიშროების ორგანოებს ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ შეთქმულნი სამართლიანად იქნან დასჯილნი. გოტვალდმა რწმენა გამოსთქვა, რომ რწმუნებულთა ახალი კორპუსი გადალახავს ყველა სიძნელეს და რომ იგი არ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რაც რწმუნებულთა წინანდელმა კორპუსმა ჩაიდინა, რომელიც მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნით უნდა გადამდგარიყო. რწმუნებულთა ახალი კორპუსი,—განაცხადა გოტვალდმა,—უნდა იყოს სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ნების შემსრულებელი ორგანო. მან ყური უნდა უგდოს მშრომელთა ხმას და შეასრულოს მათი ნება.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე გუსტავ გუსაკი, რომელმაც დაარწმუნა პრემიერ-მინისტრი, რომ რწმუნებულთა ახალი კორპუსი თანმიმდევრულად განახორციელებს მთავრობის პოლიტიკას სლოვაკიაში და გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედს.

პოლონეთ-შვეციის ურთიერთობისათვის

ვარშავა, 20 ნოემბერი. (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე პრესის დეპარტამენტის დირექტორმა გრომმა განაცხადა, რომ პოლონეთის საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა უკანასკნელ დროს პოლონეთის სანაპიროზე დააპატიმრეს და დაჰკითხეს რამდენიმე შვედი მოქალაქე, რომლებიც პოლონეთიდან მთელი რიგი პირების გაქცევის ორგანიზაციის მონაწილენი აღმოჩნდნენ.

5 ნოემბერს შვეციის ბორანმა „დროტნინგ ვიქტორიამ" თავის ბორტზე მიიღო მიკოლაიჩიკის თანამშრომელი კარბონსკი და მისი ცოლი. ამ ბორნის კაპიტანმა და ზოგიერთმა ოფიცერმა იცოდნენ, რომ კარბონსკები პოლონეთიდან არალეგალურად მიემგზავრებოდნენ და მაინც ენერგიულად ეხმარებოდნენ გაქცევის მოწყობაში. ამ გაქცევის მთავარი ორგანიზატორები არიან შვეციის სატრანსპორტო კომპანიის „ბალტონიას" თანამშრომელი გდანსკში კაროლ ნილსენი, ბორნის კონტროლიორი არვიდ ლასონი და ბორნის ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი. ყოველივე ეს დადასტურდა ნილსენის ჩვენებით, რომელიც მანამდე შვეციის პოლიციაში მუშაობდა. ორივე არალეგალური მგზავრი, სტეფანე და სოფიო კარბონსკები, დამალეს ბორნის ბომბსაფარში, რომლის გასაღებიც ბორნის კაპიტანს ჰქონდა. ნილსენის ჩვენება და პოლონეთის მთავრობის განკარგულებაში არსებული სხვა მასალები მოწმობენ, რომ მრავალი თვის განმავლობაში ასეთი გზით გადაჰყავდათ ის ადამიანები, რომელთაც სურდათ პოლონეთიდან წასვლა. ეს იცოდნენ პოლონეთში შვეციის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა.

მოწმეთა ჩვენებანი ბრალს სდებენ ბირგენდალს — შვეციის კონსულს გდანსკში. ის ადამიანები, რომლებიც არალეგალურად გადაჰყავდათ პოლონეთიდან, გაწეული სამსახურისათვის დიდ თანხებს იხდიდნენ დოლარებით.

ინგლისელი კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რამდენად მონაწილეობდა შვეციის კონსული ბერგენდალი პოლონეთიდან ზოგიერთი პირის გაქცევაში, გრომმა განაცხადა, რომ ბერგენდალი უშუალოდ უწყობდა ხელს ამ გაქცევებს. ამასთან დაკავშირებით, 17 ნოემბერს პოლონეთის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა შვეციის ელჩს ვარშავაში და მოითხოვა კონსულის გაწვევა.

ამავე დროს ნოტა აცნობებდა შვეციის მთავრობას, რომ ბორნის კაპიტანსა და ზოგიერთ შვედ ოფიცერს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის დანაშაულობაში, უფლება აღარ ექნებათ შემოვიდნენ პოლონეთის ნავსადგურებში.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 22 ნოემბერი. (საკდესი). საფრანგეთში გრძელდება მთავრობის კრიზისი. ჩაიფუშა ლეონ ბლუმის კანდიდატურა, რომელმაც გუშინ თავის ვრცელ დეკლარაციაში აუარა გვერდი მთელ რიგ ეკონომიურ პრობლემებს. ბლუმმა მიიღო 300 ხმა, მაშინ როცა ამ შემთხვევაში კონსტიტუცია მოითხოვს 309 ხმის უმეტესობას ნაციონალურ კრებაში. ნაციონალური კრების კულუარებში გუშინ აღნიშნავდნენ, რომ ბლუმმა ტყუილად როდი აუარა გვერდი მომავალი მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს, რადგან, მიუხედავად მრავალი დღის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკებისა, რაც წინ უსწრებდა რამადიეს კაბინეტის გადადგომას, „მესამე ძალის" პარტიებმა ვერ მოახერხეს შეთანხმება ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საკითხებზე.

პრეზიდენტმა ახალი მთავრობის ჩამოყალიბება მიანდო „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" (კათოლიკეებთან ახლო მდგომი პარტიის) ერთ-ერთ ლიდერს რობერ შუმანს, რომელსაც რამადიეს კაბინეტში ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ და საპარლამენტო ჯგუფმა, აგრეთვე რადიკალებმა თავიანთ კომუნიკეში განაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ შუმანის კანდიდატურას. დღეს საღამოს შუმანი თავისი დეკლარაციით გამოვა ნაციონალური კრების წინაშე.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

მთავრობის შედგენა რობერ შუმანს მიენდო

პარიზი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ეროვნული კრება ხელახლა შეიკრიბა, რათა მოესმინა დეკლარაცია რობერ შუმანისა, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის მეთაურის პოსტზე ასახელებს.

ეროვნულ კრებაში გამოსულმა რობერ შუმანმა, ისევე როგორც ბლუმმა, ილაპარაკა „საშიშროებაზე", რაც თითქოს საფრანგეთის რესპუბლიკას მოელის. მაგრამ ამასთან იგი შეეცადა გადაკვრითაც არ მოეხსენებინა ეგრეთწოდებული „ფრანგი ხალხის გაერთიანება" (დე გოლის პარტია). შუმანმა განაცხადა, რომ „რესპუბლიკის დაცვა ნიშნავს ყველა თავისუფლებათა დაცვას", და შეპირდა კრებას, ხელს შეუწყობ „კერძო ინიციატივის" განვითარებასო. შუმანმა აგრეთვე სთქვა, რომ შეეცდება უზრუნველჰყოს „საფრანგეთისათვის საჭირო გარედან მიღებული დახმარება". შუმანი შეეხო საშინაო მდგომარეობას და განაცხადა, რომ საჭიროა „ერთმანეთისაგან გავარჩიოთ კანონიერი მოთხოვნები და ამბოხებითი აგიტაცია" და რომ იგი ეცდება თავიდან აიშოროს, „რომ ვინმემ გამოიყენოს სიღატაკე და სასოწარკვეთილება". შუმანმა განსაზღვრა თავისი საგარეო პოლიტიკა და სთქვა, „ომი გარდუვალად არ მიმაჩნიაო". დასასრულ შუმანმა განაცხადა, მართვა სახელმწიფოს ავტორიტეტს განმტკიცებას ნიშნავსო.

შუმანის დეკლარაციის შემდეგ კრებამ მხოლოდ ორ ორატორს მოუსმინა: კომუნისტ დიუკლოს და სოციალისტ შარლ ლუსის. დიუკლომ განაცხადა, რომ კომუნისტთა ჯგუფი ხმას არ მისცემს შუმანისათვის ნდობის გამოცხადებას. დიუკლომ მოაგონა კრებას შუმანის პოზიცია გერმანული ოკუპაციის დროს. „შუმანი,—განაგრძო დიუკლომ, — განასახიერებს პოლიტიკას, რომელიც გადაჭრით მტრული პოლიტიკაა ჩვენი ქვეყნის მშრომელი კლასებისადმი. ეს პოლიტიკა მთლიანად დაემორჩილება ამერიკასა და მის კაპიტალიზმს". დიუკლო შეეხო საშინაო მდგომარეობას და განაცხადა, რომ ფრანგი მშრომელების მოთხოვნები სრულიად კანონიერია და რომ „ზოგიერთი წრე აშკარა პროვოკაციას ეწევა". მეორე ორატორმა — სოციალისტმა შარლ ლუსიმ განაცხადა, რომ სოციალისტები მხარს დაუჭერენ შუმანის კანდიდატურას.

შემდეგ მოხდა კენჭისყრა, რომლის შედეგადაც მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარის რწმუნებანი დამტკიცდა 412 დეპუტატის ხმით 184 ხმის წინააღმდეგ.

ამრიგად, რობერ შუმანისადმი ნდობის გამოცხადებას ხმა მისცეს ყველა საპარლამენტო ჯგუფის დეპუტატებმა, მათ შორის 80 დეგოლელმაც. წინააღმდეგ მისცა ხმა ყველა კომუნისტმა დეპუტატმა და რამდენიმე სხვა დეპუტატმა.

• • •

საფრანგეთის ახალი პრემიერი შუმანი — „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" წევრი — დაიბადა 1886 წელს ლუქსემბურგში. იგი პროფესიით ადვოკატია. 1919 წელს პირველად აირჩიეს დეპუტატთა პალატაში მოზელის დეპარტამენტისაგან, ქრისტიან დემოკრატთა სიით. 1940 წლის მარტში რეინოს მთავრობამ დანიშნა ლტოლვილთა საქმის სტატს-მდივნის მოადგილედ. 1940 წლის მთავრობაში მისი მონაწილეობა გახდა საგანი კვლევისა, რომელიც 1945 წლის სექტემბერში მოახდინა „პატიოსნების ტრიბუნალმა" პარიზში. 1946 წელს იგი ბიდოს მთავრობაში შევიდა, როგორც ფინანსთა მინისტრი და ეს პოსტი დაიკავა რამადიეს მთავრობაშიც. 1947 წლის ივნისში მთავრობამ მოიწონა შუმანის მიერ წარდგენილი გეგმა, რომლის თანახმადაც გადიდებულ იქნა ზოგიერთი საქონლის ფასი, 12 პროცენტით შემცირდა სოციალური დაზღვევის კანონით გათვალისწინებული გადასახდელები, 20 პროცენტით შემცირდა მეწარმეთა მიერ იმ დახმარების ფონდში შესატანი თანხები, რომელიც მუშებს ეძლევათ უბედური შემთხვევის დროს. ამ ღონისძიებებმა თავის დროზე მშრომელი მასების აღშფოთება გამოიწვია.

• • •

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკდესი). 22 ნოემბრის თავის გამოსვლაში, რასაც მას აუწერელი ხმაურითა და ობსტრუქციით აწყვეტინებდნენ, კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დიუკლომ აღნიშნა, რომ შუმანს არასოდეს საკმაო ენერგიით არ უბრძოლნია დე ვანდელის ტრესტის წინააღმდეგ. მე ვშიშობ, სთქვა დიუკლომ, რომ საფრანგეთის რკინის მადანს კვლავ გაგზავნიან რურში, სადაც იგი ხელს შეუწყობს გერმანიის სამრეწველო პოტენციალის აღდგენას.

შუმანი, განაცხადა დიუკლომ, არ ყოფილა მიუნხენის მოწინააღმდეგე და მარშალ პეტენის წინააღმდეგ არ მიუცია ხმა.

რამადიემ სიტყვა შეაწყვეტინა ორატორს და გამოესარჩლა შუმანს.

დიუკლომ უპასუხა რამადიეს და სთქვა: „შუმანი გამოდის როგორც ჩვენი ეკონომიკისა და ჩვენი ფრანკის მხსნელი". ჩვენ არა გვჯერა, რომ ერთ ადამიანს შეეძლოს მათი ხსნა. შუმანი განასახიერებს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასებისადმი აშკარა მტრულ პოლიტიკას. საგადასახადო პოლიტიკა, რომელთანაც დაკავშირებულია მისი სახელი, მიმართულია მშრომელთა წინააღმდეგ. შუმანის პოლიტიკა დაემორჩილება ამერიკასა და ამერიკულ კაპიტალიზმს.

ჟორჟ ბიდო სიტყვას აწყვეტინებს ორატორს და ამბობს, რომ საფრანგეთი წლის დამლევამდე 54 ათას ტონა ხორბალს მიიღებს ამერიკიდან.

ბიდოს ამ განცხადების საპასუხოდ დიუკლო ამბობს: ოკეანეს გაღმელი ექსპორტიორები კარგ მოგებას მიიღებენ.

შუმანის პოლიტიკა რამადიეს პოლიტიკის გაგრძელება იქნება, ამბობს შემდეგ დიუკლო. მუშების მოთხოვნები კანონიერია. ვის შეუძლია სადავოდ გახადოს ეს? პროდუქციის დონემ 1938 წლის დონეს მიაღწია, მაგრამ პროლეტარიატის ხელფასის მყიდველობითი უნარი 1938 წლის მყიდველობითი უნარის ნახევარსაც ვერ აღწევს. შემდეგ დიუკლო ლაპარაკობს, რომ საჭიროა საერო პრინციპის დაცვა. შუმანი იმ დეპარტამენტის წარმომადგენელია, სადაც დე ვანდელები მეფობენ.

ზოგიერთ წრეში, განაგრძობს დიუკლო, სურთ გერმანია აღადგინონ მანამდე, სანამ აღდგენილ იქნებოდეს საფრანგეთი.

შუმანი შეეცადა აეცილებინა ბრალდება, რომ იგი მომხრეა ხელი შეუწყოს გერმანიის შეიარაღებას საფრანგეთის ხარჯზე.

ამაზე დიუკლო უპასუხებს, რომ საქმე ეხება არა შუმანის პირად სურვილს, არამედ მის პოლიტიკას, რომელიც აუცილებლად შეუწყობს ხელს ამერიკელ მაგნატთა მისწრაფებას შეაიარაღონ გერმანია.

შემდეგ დიუკლო აცხადებს, რომ კომუნისტებს არ აკვირვებს გაზეთების „კრუას" და „პოპულერის" პროვოკაციები. ეს პროვოკაციები იმისათვის არის ნავარაუდევი, რომ დაფარონ „ცისფერი გეგმის" ადამიანთა მოქმედება. კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს, გლეხებსა და მოსამსახურეებს გაერთიანდნენ რესპუბლიკის დაცვის კომიტეტებში.

თუ არსებობენ ადამიანები, რომელთაც სურთ ომი, სთქვა დასასრულ დიუკლომ, არსებობენ ხალხებიც, რომელთაც მშვიდობა სურთ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში. ამერიკული პარტიის ადამიანთა წინაშე, დაასკვნის დიუკლო, კომუნისტები აცხადებენ, რომ საფრანგეთისა და რესპუბლიკის გადარჩენის საქმეში ისინი ხალხს ეყრდნობიან.

მიკოლაიჩიკს ჩამოერთვა პოლონეთის მოქალაქეობის უფლება

ვარშავა, 22 ნოემბერი. (საკდესი). სეიმის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების შესასრულებლად მინისტრთა საბჭომ დაადგინა სტანისლავ მიკოლაიჩიკს ჩამოერთვას პოლონეთის მოქალაქეობის უფლება.

ბუქარესტს გაემგზავრა უნგრეთის მთავრობის დელეგაცია

ბუდაპეშტი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საღამოს ბუქარესტს გაემგზავრა უნგრეთის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ლაიოშ დინიეშის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი ერიკ მოლნარი, იუსტიციის მინისტრი იშტვან რისი, განათლების მინისტრი დიულა ორტუტაი, ყველა კოალიციური პარტიის წარმომადგენლები, პრესის წარმომადგენლები და სხვები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

28-29 ნოემბერს [illegible] საქართველ
სსრ [illegible]
მეცნიერებათა განყოფილების XXV სამეცნიერ
სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალის
ტური რევოლუციის 30 წლისთავისადმი.
28 ნოემბრის სხდომაზე მოისმენენ აქ
შემდეგი მოხსენებანი: საქართველოს სსრ მე
ნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ა. შ
ნიძის შესავალი სიტყვა, პროფესორ ს. ჯ
უხნიშვილის — „ახალი მასალები „ქართ
ცხოვრების" ნუსხათა შესწავლისათვის", ს
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნა
დვილი წევრის ბ. კუფტინის—„შემდეგ
პროტოხეთური კულტურის ძეგლების გამო
ნების საკითხისათვის საქართველოს ტერიტ
რიაზე".
29 ნოემბრის სხდომაზე მოისმენენ აქ
მოხსენებანი: საქართველოს სსრ მეცნიერებ
აკადემიის ნამდვილი წევრის გ. ახვლედიანის
—„თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსებ
ფიზიოლოგიისათვის ქართულში", უფროსი მე
ნიერ თანამშრომლის გ. აბზიანიძის — „ნიკ
ლოზ ბარათაშვილის შემოქმედება", პროფე
სორ დ. არაყიშვილისა — „დიდი სამამულ
ომის ასახვა ქართულ მუსიკალურ ფოლკლ
ში".
სესიის სხდომები იწარმოებს დილის 11 ს
ათიდან მასწავლებლის სახლის დიდ დარბაზ
(ფერისცვალების ქ. № 3).
დასწრება თავისუფალია.

სამეცნიერო სესია

სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიურ ინ
ტიტუტში ჩატარდა ოქტომბრის სოციალისტურ
რევოლუციის XXX წლისთავისადმი მიძღვნი
სამეცნიერო სესია.
სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „სა
ბჭოთა სოციალისტური დაგეგმვის გამარჯვებ
(მომხსენებელი დოცენტი მ. ადელხანოვი), „უმ
ღლესი განათლება საბჭოთა კავშირში საბჭო
ხელისუფლების არსებობის XXX წლის მანძი
ზე და უმაღლეს სასწავლებელთა ამოცან
ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში"—(მომ
ხსენებელი დოცენტი ვ. ხეთაგუროვი), „რუს
ლი კლასიკური ფილოსოფიის ძირითადი თავ
სებურებანი" (მომხსენებელი მ. კილაბერია).

დიდი მოგებები

ზესტაფონის საქალაქო დეპოს მემანქანე
მიხეილ ათანასეს-ძე კალაძემ ზესტაფონის შ
ნახველ სალაროს წარუდგინა მესამე სამხედრ
სესხის 500 მანეთიანი ობლიგაცია (სერია
056843, ობლიგაციის № 01, 02, 03, 04, 0
№ 03 ობლიგაციამ ხვდა მოგება 50,000 მანე
დანარჩენმა ნომრებმა მოიგეს ორას-ორასი მ
ნეთი თითოეულმა. ამრიგად, მემანქანე კალაძ
ობლიგაციამ სულ 50,800 მანეთი მოიგო.

ს. მუმლაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

• • •

ამ დღეებში სიღნაღის რაიშემნახველ სალაროში
სახლისაა ლენა ქარუმოვამ წარადგინა მე-3 ს
ხედრო სესხის 500 მანეთიანი ობლიგაცია
6, 7, 8, 9, 10, სერია № 051065, რომელ
ხვდა 25,000 მანეთი მოგება.

ახალი წიგნები

გამოვიდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტ
მთავარი გეოლოგის ა. ბ. გავაშელის ბროშ
—„მარგანეცის გამოყენება სახალხო მეურნე
ბაში". ავტორი მოგვითხრობს, თუ რა ფარ
გამოყენება აქვს მარგანეცს შავ და ფერ
მეტალურგიაში, ელექტროქიმიურ და მინ
წარმოებაში, პოლიგრაფიულ და საღებავ
წარმოებაში, მედიცინაში და, ბოლოს, სოფლ
მეურნეობაშიც.
წიგნის რედაქტორია ინჟინერი მ. მ. ბრ
ვაძე.

• • •

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლ
ბამ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცი
XXX წლისთავისათვის გამოსცა სამხრეთ ოსე
ში მომუშავე მწერლების ნაწარმოებთა ს
კრებული ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზ
ქართულად გამოვიდა კრებული „სამშო
ლო". კრებულში დაბეჭდილია მ. შავლოხო
კაკაბაძის, რ. ასაევის, ა. მამისთავლიშ
ს. ზურაბაძის და სხვათა ნაწარმოებნი. რუს
ენაზე გამოვიდა კრებული „ოქტომბერი
ოსურად—„XXX წელი".

• • •

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქცი
გამოსცა ს. ცაიშვილის მონოგრაფია ცნობი
პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გრ
კალანდარიშვილის შესახებ.
წიგნის რედაქტორია ვ. ქაქაია.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომი
ტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის სა
ღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობ
შესდგება ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, საღამო
7 საათზე, ქალთა მე-6 საშუალო სკოლაში
(მელიქიშვილის ქ. № 4).

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

თეატრებში

25 ნოემბერს: **ფალიაშვილის სახელობის** — „მთების ძახილი"; **რუსთაველის სახელობის** — „სამშობლო"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"; **გრიბოედოვის სახელობის**—„რღვევა".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

25 ნოემბერს

რადიოსადგურებით 1154 და 49, 59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

17.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.20 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. 19.00 — ლიტერატურულ-დრამატიული გადაცემა. სცენები ლოპე-დე ვეგას პიესიდან „ცხვრის წყარო". 20.00—კომპოზიტორ დავით თორაძის ოპერის „მთის ძახილის" ტრანსლაცია თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრიდან. პირველ ანტრაქტში: საუბარი ქართულ ენაზე. მეორე ანტრაქტში: ზედგინიძის მოთხრობა „პოეტის სიკვდილი". 23.00—ქართული მუსიკის კონცერტი.

თბილისის საავიაციო ტექნიკუმის სახელოსნოებს ესაჭიროება შემდეგი სპეციალობის ხელოსნები: ხარატები, ზეინკლები, მემოდელეები, მეავეჯე დურგლები, ელექტრომონტიორები, შემდუღებლები, მომნიკელებლები.
პირობები შეთანხმებით.
ცნობებისათვის მიმართეთ სახელოსნოების უფროსს, თბილისი, კამოს ქ. № 70, ტელეფონი 3-27-17.
თბილისის საავიაციო ტექნიკუმის დირექცია

საქართველოს ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი" იძენს ქართული ოსტატობის ნიმუშებს: სურათებს, ქანდაკებას, ნახატებს, მხატვრული ხელსაქმის ნიმუშებს, დასურათებულ ხელნაწერებს, მინანქრებსა და ოქრომჭედლობის ნაწარმოებთ.
მისამართი: ქალაქი თბილისი, კეცხოველის ქ. № 12, ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი", ტელეფონი № 3-46-08.

მოქალაქე **იოსებ ილიას-ძე გიორგაძემ**, მცხოვრებმა საზოგადოების ქ. № 11, აღძრა საქმე ქ. მოსკოვში, იაროსლავლის შოსე, სახლი № 82/84 მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ივანეს ასულ ნაზაროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან **ნინო ილიას ასულ ჟორდანიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-XI, 3 ს. სასამართლოს ქ № 26.

ექიმი მარგო მუჯირი იუწყება **კონსტანტინე სილოვანის-ძე მუჯირის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-XI, 4 ს. გორკის ქ. 8.

საქდესის მუშაკთა კოლექტივი იუწყება კარლო კალანდაძის მამის **ნოე დავითის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XI, ერკეთში (ჩოხატაურის რ).

საქართველოს რადიოკომიტეტის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება მთავარი ბუხჰალტრის **კონსტანტინე სილოვანის-ძე მუჯირის** გარდაცვალებას.

ლევან ჩიხრაძე ოჯახით იუწყება დისწ
ნუნუ ალავიძის გარდაცვალებას. პანაშვიდ
25-XI, 7 ს. გამოსვენება 26-XI, 4 ს. პლე
ნოვის, 97.

პირველი ვენდისპანსერის ადმინისტრაცია
ადგილკომი იუწყებიან **დომინიკა ალექს**
ასულ მაცაბერიძის გარდაცვალებას. გამოს
ვენება 25-XI, 4 ს. მაგისტრალის, 31. (ლ
რაიონი).

შვილი დავით, რძლები ლოთინე და შ
შვილებით იუწყებიან **ალექსანდრა დავით**
ასულ გოგიჩაძის გარდაცვალებას. დაკრძალ
ვა 27-XI, ს. ზოვრეთში.

ძმა ალექსანდრე იუწყება **ანდრო სამსო**
ნის-ძე ლეჟავას გარდაცვალებას. დაკრძალ
ვა 27-XI, დიდ-ჯიხაიშში.

თბილისის რაისაბჭოს აღმას [illegible] თან
შრომლები ნ. ბასილაია, მ. ბ [illegible] როშვილი,
კომაძე, ქ. ახალაშვილი, ა. [illegible] ბოლქვაძე,
ხურცილავა, ნ. თელია, ნ. [illegible]
თ. ჩიტიშვილი და თ. ვარდო [illegible]
ბიან ა. მიგრიაულის დედის [illegible]
სოს ასულის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 10930